# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

2 ივლისი ორშაბათი 2012 №154 (13 760) ფასი 80 თეთრი


## 2015 ევროპის სუპერთასი თბილისში

2

# ისტორიას დარჩება!




## იტალია ტირის






8,10



ევროპის სუპერთასი 2015

# ეს რაღაც ახალია!

## ევროპის სუპერთასი და ვარსკვლავთცვენა თბილისში

**უეფას პრეზიდენტად არჩეული მიშელ პლატინის წამოწყებული რევოლუციის მიზანი ევროპის საფეხბურთო ცხოვრებაში კონტინენტის აღმოსავლეთ ნაწილის ჩართვა იყო. თუკი ადრე მნიშვნელოვან ტურნირებსა და შეხვედრებს უმთავრესად ლონდონი, პარიზი, მიუნხენი, ვენა, ბრიუსელი და ამსტერდამი მასპინძლობდნენ, ახლა კანდიდატებში მოსკოვი, კიევი, ვარშავა, პრაღა და თბილისიც არიან.**




30 ივნისს კიევში უეფას გენერალურმა მდივანმა **ჯანი ინფანტინომ** აღმასკომზე მიღებული გადაწყვეტილება გამოაცხადა და საქართველოს დიდი სიხარული მიანიჭა - 2015 წლის 12 აგვისტოს თბილისი და საქართველო, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად, უეფას სუპერთასს უმასპინძლებს.

უეფამ ამჯობინა, რომ 2013 წლიდან ამ ტურნირის ტრადიციული მასპინძელი მონაკოს "ლუი II" სტადიონის ნაცვლად, სუპერთასი ევროპის სხვადასხვა ქალაქებში გაითამაშოს: 2013 წელს— პრაღაში, 2014 წელს— კარდიფში, 2015 წელს კი - ჩვენს დედაქალაქში.

მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება. ამის შესახებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** განაცხადა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლადო ვარძელაშვილმა** უეფაში გადაწყვეტილების მიღების მექანიზმზეც მიანიშნა: *"ჩვენი ფედერაცია უეფასთან, მისი აღმასკომის წევრებთან და სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას წელიწადზე მეტი აწარმოებდა. მიმაჩნია, რომ კიევში მიღებული გადაწყვეტილება ქართული ფეხბურთისთვის დიდი მოვლენაა. 2015 წელი ჩვენი დედაქალაქისთვის ისედაც ძალიან დატვირთული იქნება, რადგან ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს ვუმასპინძლებთ, სუპერთასს კი – 12 აგვისტოს და სხვადასხვა ქვეყნებიდან ძალიან ბევრი ადამიანი ჩამოვა".*

ვარძელაშვილის სიტყვებიდან უნდა დავასკვნათ, რომ ეს მოლაპარაკებები მხოლოდ უეფას დონეზე არ წყდებოდა. ასეთ გადაწყვეტილებებს წინ დიდი კულუარული სამუშაო, მოლაპარაკება და კონკრეტულ პირთა დაინტერესება ახლავს.

სუპერთასის მატჩის შემდეგ ტრადიციულად მონაკოშივე ტარდებოდა ევროპის საუკეთესო მოთამაშეების დაჯილდოების საზეიმო გალა-კონცერტი. როგორც ჩანს, 2015 წელს ეს ღონისძიებაც თბილისში გაიმართება.

საინტერესო სიახლეც: სუპერთასის მონაწილე გუნდების ფეხბურთელები მატჩამდე ერთი კვირით ადრე გვესტუმრებიან და შეხვედრისთვის მომზადების პარალელურად სპეციალურად მათთვის დაგეგმილ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში მიიღებენ მონაწილეობას, მათ შორის, უბნებში ქუჩის ფეხბურთის განვითარებისთვის მასტერ-კლასებს ჩაატარებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

სიტუაცია


ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით ოდიკაძემ მეტალურგი იუარა

**თბილისის „დინამოს" წარმომადგენლებმა, კერძოდ, სპორტულმა დირექტორმა ბუბა ტყავაძემ პირველად "ლელოსთან" დაადასტურა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ დავით ოდიკაძე გუნდს დატოვებდა.**

საჩხერის "ჩიხურას" მთავარი მწვრთნელი **სოსო ფრუიძე** ადასტურებს, რომ ოდიკაძის გადაყვანა სურს, მაგრამ გუშინდლამდე საკითხი გადასაწყვეტი იყო: *"მართლაც დიდი სურვილი გვაქვს, ეს გამოცდილი მოთამაშე მოვიყვანოთ, მაგრამ საკითხი დასაზუსტებელია. მან ჯერ "დინამოსთან" უნდა გაარკვიოს ურთიერთობა [illegible] იმედია, ახალ სეზონში ჩვენთან ითამაშებს".*

ოდიკაძემ "დინამოსთან" ურთიერთობა მართლაც გაარკვია და გუშინ გვიან შევიტყვეთ, რომ საჩხერელებთან მოლაპარაკება დაიწყო: *"ჯერ გეტყვით, რომ "დინამოსთან" კონტრაქტი კიდევ ორი წლით მაკავშირებს და არ გაწყვეტილა. ასე რომ, ახალ კლუბში იჯარით წავალ. გამიკვირდა ინფორმაცია, თითქოს, "ჩიხურასთან" ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. კლუბთან რეალური მოლაპარაკება მხოლოდ ორი დღეა, რაც დავიწყე. არ დავმალავ, მანამდე რუსთავის "მეტალურგიდან" საინტერესო წინადადება მივიღე, წასვლასაც ვაპირებდი, მაგრამ ბოლოს უარი ვთქვი, რადგან ხელოვნურსაფრიან მოედანზე ვარჯიში და თამაში არ მსურდა. ალბათ, საჩხერეში ვითამაშებ. საკმაოდ კარგი პირობები შემომთავაზეს, თუმცა ჯერ კონტრაქტი არ გამიფორმებია".*

**მერაბ მამულაშვილი**

ევრო 2020

# კიდევ ერთი შანსი

## ჩემპიონთა ლიგა ახალგაზრდებისთვისაც ჩატარდება

**თბილისისთვის 2015 წლის სუპერთასის მასპინძლობის გარდა, კიევში გამართულ უეფას აღმასკომზე სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და ჩანაფიქრი გაჟღერდა.**

უეფა ჯერ ეროვნული ფედერაციების წარმომადგენლებს მოელაპარაკება და ევრო-2020-ის მასპინძლობის მსურველთათვის განაცხადის წარდგენის გრაფიკს მხოლოდ დეკემბერში დაამტკიცებს. საგანაცხადო დოსიეს შესადგენად და აუცილებელი სამუშაოების შესასრულებლად კანდიდატებს დრო 2013 წლის სექტემბრამდე მიეცათ. უეფა მათ შეისწავლის და 2014 წლის მაისში ევროპის ჩემპიონატის მასპინძელს გამოაცხადებს. შეგახსენებთ, რომ საქართველო-აზერბაიჯანის გარდა, ტურნირის მასპინძლობა ირლანდია-უელს-შოტლანდიასა და თურქეთს სურთ.

მაგრამ, 2020 წელს ევროპის ჩემპიონატს, შესაძლოა, უმასპინძლოს არა ერთმა ან ორმა, არამედ რამდენიმე ქვეყნის 12-13-მა ქალაქმა! 2020 წელს ევროპის ჩემპიონატს 60 წელი უსრულდება და სწორედ ამიტომ უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ სუპერრევოლუციური იდეა წამოაყენა, რომლის მიზანიც ტურნირის ლამის მთელ კონტინენტზე ჩატარებაა!

პლატინის თქმით, 1-2 ქვეყნის დავალდებულება, რომ მინიმუმ 10 ახალი სტადიონი, ყველა ქალაქში თანამედროვე აეროპორტი და სასტუმროები ააშენონ, ძალიან ძნელია. გაცილებით ადვილი და იაფი იქნება რამდენიმე ქალაქში თითო ხუთვარსკვლავიანი სტადიონის მოწყობა და საერთო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. რაც მთავარია, ეს იდეა აღმასკომის ბევრ წევრს მოეწონა და პროექტის შემდგომი განხილვის იდეაც ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.

უეფას პრეზიდენტის ახალმა იდეამ ყველა ძალიან გააკვირვა, განსაკუთრებით რუსეთის საფეხბურთო კავშირის ყოფილი პრეზიდენტი **ვიაჩესლავ კოლოსკოვი**: *"აჯობებს, პლატინის იდეა ჯერ ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატზე გამოვცადოთ და ვნახოთ, გაამართლებს თუ არა. მთლიანობაში, ეს არის ფანტაზია, ძალიან არაადეკვატური ინიციატივაა, რომელსაც სკეპტიკურად ვუყურებ".*

უეფას კიდევ ერთი გადაწყვეტილება კლუბებს შორის სოლიდარობის პრინციპით დაასაბუთეს, მაგრამ ევროპელ გრანდებს გაანაწყენებს: ჩემპიონთა და ევროპის ლიგის შემოსავლების გასათანაბრებლად, უფრო პრესტიჟული და სარფიანი პირველი ტურნირის მოგებიდან 40 მილიონი ევრო ევროპის ლიგის მონაწილეებს გადაეცემათ. უეფას მარკეტინგის სამსახური კი 2012-2015 წლებში ჩემპიონთა ლიგაში მოგების 22 პროცენტით, ანუ 1,34 მილიარდი ევროთი გაზრდას იმედოვნებს, ევროპალიგაზე კი – 12 პროცენტით, ანუ 225 მილიონი ევროთი.


მიშელ პლატინი

მაგრამ, შესაძლოა, სოლიდარობის პრინციპის ამოქმედება შემდეგ წლებში საჭირო აღარც გახდეს, რადგან უეფას პრეზიდენტის კიდევ ერთი ჩანაფიქრი 2015/16-ის სეზონიდან ევროპისა და ჩემპიონთა ლიგების გაერთიანება, ჯგუფურ ეტაპზე 80 მონაწილის შეკრება და 20 ჯგუფში 4-4 გუნდად განაწილებაა.

ამაზე ახალი ანეკდოტი უკვე მოიგონეს: სხვა თუ არაფერი, ინგლისურ ალფავიტს მაინც ვისწავლით, რადგან ჯგუფები A-დან დაიწყება და T-თი დამთავრდებაო.

უეფა 2013/14 წლებიდან 19-წლამდელთა საკლუბო ტურნირის ჩატარებასაც გეგმავს. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის 32 მონაწილე ასაკობრივი გუნდები, ძირითადების ჯგუფებითა და კალენდრით ითამაშებენ. მაგრამ პლეი ოფის მატჩები ერთრაუნდიანი იქნება, ნახევარფინალებსა და ფინალებს კი ნეიტრალური სტადიონები უმასპინძლებენ.

მსაჯობის საკითხებში უეფას ოფიცრის, **პიერლუიჯი კოლინას** თქმით, ევროპის, ჩემპიონთა ლიგისა და ევრო-2012-ის მატჩებში ხუთი არბიტრის დასაქმების ექსპერიმენტმა გაამართლა, აღმასკომმა კი ამ იდეის შემდგომში გამოყენებაც მოიწონა. თუ პროექტი 5 ივლისს ფიფას აღმასკომზე გაიზიარეს, ფაქტობრივად, მოედანზე...სამ გუნდს ვიხილავთ (მეტოქეებს და მსაჯებს) და ველარ გაიგებ კაცი, ფეხბურთი იქნება თუ მსაჯბურთი. ან ამდენი "შავფორმიანის" ხარჯი რა საჭიროა, როდესაც ვიდეოგამეორებით სადავო ეპიზოდზე ყველაზე ზუსტი პასუხის მიღებაა შესაძლებელი?

უეფამ ევროპის ჩემპიონატისა და ევროტურნირების გაერთიანების რევოლუციური პროექტი თუ განახორციელა, რომელიმე ქართულ ქალაქში ტურნირს ერთხელ მაინც ვუმასპინძლებთ. ასევე შესაძლებელი ჩანს, ახალგაზრდული ჩემპიონთა ლიგის ფინალის მასპინძლობის უფლებაც მივიღოთ. და თუ პლატინისეულ ახალ ჩემპიონთა ლიგაშიც ვერ მოვხვდებით, უნდა დავიხუროთ ქუდი და ავკრძალოთ ფეხბურთი.

ისე, მადლობა პლატინის, "ხალხში" რომ გაგვრია...

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# გრიგალაშვილის გორის დილაში?

**"ზესტაფონისა" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა შოთა გრიგალაშვილმა კლუბი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა და სატრანსფეროდ საინტერესო ფეხბურთელი გახდა.**

ამ ცოტა ხნის წინათ „ლელო" წერდა, რომ გრიგალაშვილით ვლადიკავკაზის „ალანია" დაინტერესდა. უფრო რეალური უკრაინულ პრემიერლიგაში გადასვლა იყო, თბილისის „დინამოში" თამაში კი თავად იუარა.

გუშინ შევიტყვეთ, რომ გორის "დილა" საქართველოს ნაკრების 26 წლის ნახევარმცველთან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს. თუმცა, ერთი კვირის წინათ "დილა" ამ ამბავს კატეგორიულად უარყოფდა.

ბოლო ინფორმაციით, გრიგალაშვილი უკრაინაში იმყოფებოდა და კარიერის გაგრძელებას იქაური პრემიერლიგის ერთ-ერთ კლუბში იმედოვნებდა. თუ ეს ვარიანტი არ გამოვიდა, მაშინ "დილაში" ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**


შოთა გრიგალაშვილი

სამზადისი

# ტორპედოს ნაიკი შემოსავს

## ქუთაისი მე-3 ეტაპის მასპინძლობასაც იმედოვნებს

**ქუთაისის „ტორპედომ" ავსტრიული შეკრება დაასრულა და ყაზახური „აქტობეს" დასახვედრად ემზადება. ყაზახები საქართველოში 4 ივლისს გვესტუმრებიან და სასტუმრო „იმერში" დაბინავდებიან. სავარაუდოდ, მათ 50-მდე გულშემატკივარიც ჩამოყვებათ.**

„ტორპედოს" ოფიციალური ვებგვერდზე კი გუნდის აღმასრულებელმა დირექტორმა **გიორგი პაპიაშვილმა** გულშემატკივარს მიმართა: "ამჯერად ქუთაისში ორი საკვალიფიკაციო ეტაპის გამართვის უფლება გვაქვს. „ტორპედო" 7 წელიწადი ევროტურნირებზე არ მონაწილეობდა და უფრო მაღალი კატეგორიის მინიჭების დაბრკოლება სტადიონს ამიტომ შეექმნა. თუმცა, ევროპალიგის წინ სიახლეებია: მოეწყო დოპინგ-კონტროლის ოთახი, სტადიონის ტერიტორია უკაბელო ინტერნეტითა და სხვა ტექნიკური საშუალებებით აღიჭურვა. ამას გარდა, თუ გულშემატკივარი ქცევის წესებს დაიცავს, უეფას უსაფრთხოების ნორმები დაკმაყოფილდება, მოწინააღმდეგეს დახვედრაზე პრეტენზიები არ გაუჩნდება და მატჩის დელეგატისგან მაღალ შეფასებას დავიმსახურებთ, არ არის გამორიცხული, რომ მესამე ეტაპზე გასვლის შემთხვევაში, ისევ ქუთაისში ვითამაშოთ. ასე რომ, გულშემატკივრებს მინდა ვთხოვო, ტრიბუნებზე ქცევის ნორმები დაიცვან - ეს ჩვენვე ნაგვადგება".

პაპიაშვილის თქმით, ამიერიდან "ტორპედო" ცნობილი ამერიკული კომპანიის, „ნაიკის" დამზადებული მაღალხარისხიანი ეკიპირებით შეიმოსება. „ტორპედოს" ახალი მაისურებისა და შარფების შეძენა გულშემატკივრებსაც შეეძლებათ.

"ტორპედო"-"აქტობეს' მატჩზე დასასწრები 10 500 ბილეთის გაყიდვა 2 ივლისს დაიწყება და 4, 5 და 7 ლარი ეღირება, მატჩი კი 5 ივლისს 21:00 საათზე დაიწყება.

**მერაბ მამულაშვილი**

საკონტროლო მატჩი



დინამოს სპორტული დირექტორი ზუბა ტყავაძე (მარცხნივ) და ნიკა კვეკვესკირი

# გასეირნება სპარტაკთან

## ბრაზილიელი ეუდისი დაითხოვეს

ახალი მწვრთნელის, **დუშან უჰრინის** ხელმძღვანელობით თბილისის "დინამომ" დიღმის. საწვრთნელ ბაზაზე მეორე საკონტროლო მატჩი ჩაატარა და ცხინვალის "სპარტაკს" — 7:0 მოუგო.

„დინამოს" დაუბრუნდა **კონსტანტინე გაბაშვილი**, რომელსაც პირველ ლიგაში გავარდნილ "სპარტაკთან" იჯარის ვადა დაუსრულდა. "დინამოდან" ცხინვალელთა კლუბში განათხოვრებული მეორე მოთამაშე **ლაშა ჩაფიძე** კი ამჟამად რუსთავის "მეტალურგში" ემზადება.

ამ საკონტროლო მატჩში ანგარიში "სპარტაკის" მცველის ავტოგოლით გაიხსნა, რასაც პირველ ნახევარში ყოფილი კლუბის კარში გაბაშვილის, შემდეგ კი **ჩისკოს** გოლები მოჰყვა. მეორე ტაიმში კი გოლები **ნიკა კვეკვესკირმა** (2), **ალბერტ იაგუემ** და **გიორგი მერებაშვილმა** გაიტანეს.

დინამო: **ლორია - სეთურიძე, პოლაკი, რეხვიაშვილი, კიზიტო -რობერტინიო, ალვარო, პაპავა, ხმალაძე - ჩისკო, გაბაშვილი**

მეორე ტაიმი: **ზარქუა - ტვილდიანი, კვეკვესკირი, გველესიანი, გლიშიჩი - კოტო, ძარია, ჯილაური, თარხნიშვილი - მერებაშვილი, იაგუე.**

თბილისელთა პრესსამსახურის ცნობით, გასინჯვაზე მყოფმა ბრაზილიელმა ფორვარდმა **ეუდისმა** მთავარი მწვრთნელის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა და გუნდი დატოვა.

**მერაბ მამულაშვილი**

ევროტურნირების წინ



# ნეფთჩი-ზესტაფონი დალგა არენაზე

## ქართველთა მეტოქეც ავსტრიაშია

საბოლოოდ გადაწყდა, რომ "ზესტაფონი" 17 ივლისს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის მატჩს ბაქოში "დალგა არენაზე" გამართავს. საქმე ის არის, რომ ქვეყნის მთავარ არენაზე, "ტოფიკ ბახრამოვზე" სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს, "დალგა" კი, რომელიც სულ რაღაც 6 500 მაყურებელს იტევს, უეფას სტანდარტებს აკმაყოფილებს.

"დალგა არენა" ბაქოს "რავანის" მშობლიური სტადიონია, ყველაზე ნიშანდობლივი კი ის არის, რომ მასზე ხელოვნური საფარია დაგებული, სადაც თამაში "ზესტაფონის" მსგავსი ტექნიკური ფეხბურთის მიმდევარი გუნდისთვის ხელსაყრელი არ უნდა იყოს.

"ზესტაფონი" ავსტრიულ შეკრებას განაგრძობს და, საბედნიეროდ, ოპტიმალური შემადგენლობით ვარჯიშობს. საქართველოს ჩემპიონის მორიგი სპარინგ-პარტნიორი დღეს პლოვდივის "ლოკომოტივი" იქნება. საინტერესოა, რომ შარშან, ესპანეთში, "მარბელას თასის" გათამაშებაზე "ზესტაფონმა" ეს ბულგარული კლუბი 3:0 გაანადგურა.

ცნობისთვის, "ლოკომოტივმა" ბულგარეთის წინა ჩემპიონატში მეექვსე ადგილი დაიკავა.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ "ნეფთჩიმ" თურქული შეკრება მოილია და "ზესტაფონის" მსგავსად, ავსტრიას მიაშურა, სადაც წვრთნასთან ერთად, ორ საკონტროლო შეხვედრას გამართავს – ხვალ გერმანულ "შტარნბერგს" გაეჯიბრება, 7 ივლისს კი ძალებს ბუქარესტის "დინამოსთან" ტესტ-მატჩში მოსინჯავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ



კობა ჟორჟიკაშვილი

**ქართული კლუბებიდან ევროსეზონს ყველაზე ადრე რუსთავის "მეტალურგი" და ქუთაისის "ტორპედო" იწყებენ – ორივე კლუბი ევროპის ლიგის პირველი ეტაპის მატჩებს 5 ივლისს გამართავს. "მეტალურგის" მთავარ მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილს სლოვენიური შეკრების, საევროთასო სამზადისისა და სამომავლო გეგმების შესახებ ვესაუბრეთ.**

# კობა ჟორჟიკაშვილი: ხელმძღვანელობის ცვლა გუნდზე უარყოფითად არ აისახება

**- თუ გაამართლა უცხოურმა შეკრებამ ის მიზანი, რაც იქ გამგზავრებამდე გქონდათ დასახული?**

- შემიძლია ვთქვა, რომ აბსოლუტურად გაამართლა. სლოვენიაში შესანიშნავი სავარჯიშო და საცხოვრებელი პირობები გვქონდა შექმნილი და საკმაოდ ძლიერ მეტოქეებსაც ვეთამაშეთ, რამაც საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები თვალნათლივ დაგვანახვა.

**- პლუსებიდან და მინუსებიდან რას გამოჰყოფდით?**

- კარგი ის არის, რომ გუნდმა საკმაოდ კარგი ფიზიკური მომზადება გამოავლინა და ამ მხრივ ტოლი არავის დაუდო, უსიამოვნო კი ის იყო, რომ საგოლე მომენტების რეალიზების საკმაოდ დაბალი პროცენტი გვაქვს და ამ ნაკლის სასწრაფოდ გამოსწორება გვმართებს.

**- ახლა როგორი რეჟიმით ემზადებით?**

- "ტეუტასთან" მატჩის წინ რუსთავში ვვარჯიშობთ^და ტაქტიკა-სტრატეგიას ვამუშავებთ. შევეცდებით, ევროთასებს სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ და ღირსეული შედეგი ვაჩვენოთ. გვინდა, რაც შეიძლება მეტი ეტაპი გადავლახოთ. აქვე შემთხვევით^ვისარგებლებ და ევროტურნირების მონაწილე ყველა ქართულ კლუბს წარმატებას ვუსურვებ.

**- მეტოქეზე რა ინფორმაციას ფლობთ?**

- ყველანაირად ვცდილობთ, რომ "ტეუტას" შესახებ ცნობები მოვიძიოთ და, ვფიქრობ, ამას შევძლებთ კიდეც. ხელწამოსაკრავი მეტოქე არ გვყავს, მაგრამ წყვილის ფავორიტად მაინც "მეტალურგი" მიმაჩნია. კარგია, რომ პირველ მატჩს სტუმრად ჩავატარებთ. ეს თამაში მოწინააღმდეგის შესახებ მაქსიმალურ წარმოდგენას შეგვიქმნის და საპასუხო შეხვედრისთვის სათანადოდ მომზადების საშუალებას მოგვცემს.

**- ამ ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, ჩეხური "პლზენის" სახით საკმაოდ სერიოზული მეტოქე გელით.**

- ჯერ მხოლოდ პირველი ეტაპის დაძლევაზე ვფიქრობთ და "პლზენზე" ამის შემდეგ გადავერთვებით. რა თქმა უნდა, ძლიერი მოწინააღმდეგეა, მაგრამ მასთან ტოლ-სწორად ბრძოლასაც შევეცდებით.

**- ახალწვეულები გუნდს როგორ შეეწყვნენ?**

- ყველა საკმაოდ მონდომებულია და, ვფიქრობ, "მეტალურგის" მონახაზში ჩაჯდომას შეძლებენ. თითოეული ახალწვეულის დიდი იმედი გვაქვს და გვჯერა, რომ იმედებს გაგვიმართლებენ.

**- შეკრებაზე ხორვატი მეკარე გასინჯეთ. მან თქვენი მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა?**

- პირიქით, ივან ჰოსმანი მოგვეწონა და მასთან მოლაპარაკებებს ვაგრძელებთ. დასაზუსტებელია გარკვეული საკონტრაქტო პუნქტები. შესაძლოა, იგი სულ მალე შემოგვიერთდეს.

**- ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც "მეტალურგი" ევროტურნირებზე ასპარეზობას დაასრულებს, თქვენი რამდენიმე ფეხბურთელი "დინამოს" მიაშურებს. ამის ფონზე შემადგენლობის გაძლიერება ალბათ, კიდევ დაგჭირდებათ.**

- სავარაუდოდ, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი მალე დაგვტოვებს და თადარიგი დაჭერილი გვაქვს – შევეცდებით, მათ ღირსეული შემცვლელები მოვუძებნოთ. საამისოდ ბევრი დრო არ გვაქვს, მაგრამ შემადგენლობას სათანადოდ მაინც დავაკომპლექტებთ.

**- მომავალ ეროვნულ ჩემპიონატში რა მიზნები გექნებათ?**

- ჩვენი უმთავრესი ამოცანა ევროპის ლიგის საგზურის მოპოვება იქნება, ჩემპიონატსა და თასზე კი, დარწმუნებული ვარ, უშეღავათო ორთაბრძოლები გაიმართება. "ზესტაფონი", "დინამო", "დილა", "ტორპედო", "მეტალურგი" და კიდევ რამდენიმე კლუბი ჩემპიონატის მაღალი დონისა და დაძაბული ბრძოლის გარანტიას მოგვცემს.

**- "მეტალურგში" ხელმძღვანელობის ცვლა კლუბისა და გუნდის ყოველდღიურ ცხოვრებაში რაიმე დისკომფორტს ხომ არ იწვევს?**

- მართალია, კლუბის ხელმძღვანელი რგოლის რეორგანიზაცია ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ეს გუნდზე უარყოფითად ოდნავადაც არ აისახება. სამწვრთნელო შტაბსაც და ფეხბურთელებსაც კარგი სამუშაო პირობები აქვთ შექმნილი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ევროტურნირების წინ

# მეტალურგი ალბანეთში 18 ფეხბურთელით მიემგზავრება

რუსთავის "მეტალურგი" ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველ მატჩს ხუთშაბათს, 5 ივლისს გამართავს – ალბანეთში მისი მეტოქე "ტეუტა" იქნება.

საქართველოს ვიცე-ჩემპიონი თბილისიდან 4 ივლისის დილას სტამბულიტირანას ავიარეისით გაემგზავრება, შემდეგ ავტობუსით იმგზავრებს და დანიშნულების ადგილზეც ჩაალწევს. საღამოს "მეტალურგი" იმ სტადიონზე ივარჯიშებს, სადაც მეორე დღეს შეხვედრას გამართავს.

გუნდის მთავარ მწვრთნელ **კობა ჟორჟიკაშვილს** ალბანეთში 18 ფეხბურთელი მიჰყავს:

მეკარეები: **გრიგოლ ბედიაშვილი, ზურაბ ბათიაშვილი;**

მცველები: **გივი კვარაცხელია, მიხეილ მახვილაძე, გიორგი გავაშელიშვილი, ზვიად ლობჟანიძე, ანზორ სუხიაშვილი, ლაშა ჯაფარიძე, თორნიკე კაკუშაძე;**

ნახევარმცველები: **ლუკა რაზმაძე, დენის დობროვოლსკი, რევაზ გეწაძე, გიორგი თექთურმანიძე, გიორგი მიქაბერიძე, ირაკლი მაისურაძე, გიორგი ქავთარაძე;**

თავდამსხმელები: **ირაკლი სიხარულიძე, დიმიტრი ტატანაშვილი.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბური

**ბომბარდირები**

# დვალი 53-ეა


ჯაბა დვალი

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) გასული სეზონის ბომბარდირთა მონაცემები შეაჯამა და ეროვნული ჩემპიონატების საუკეთესო მეგოლეების სია გამოაქვეყნა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბომბარდირებში "ზესტაფონის" ფორვარდი, საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი **ჯაბა დვალიც** მოხვდა, რომელიც 53-ე ადგილზეა. შეგახსენებთ, გასულ სეზონში დვალმა 20 გოლი გაიტანა.

მონაცემებში შეტანილია მხოლოდ ჩემპიონატში გატანილი გოლები და არა სათასო თუ საერთაშორისო ტურნირების მონაგარი.

რეიტინგს მსოფლიო ფეხბურთის ორი კაშკაშა ვარსკვლავი ლიდერობს, საუკეთესო ათეული ასეთია:

| | |
|---|---|
| 1. ლიონელ მესი (არგენტინა, ბარსელონა) | 50 გოლი |
| 2. კრიშტიანუ რონალდო (პორტუგალია, რეალი) | 46 |
| 3. ანრი ერნანდესი (კოლუმბია, ხაგუარესი) | 35 |
| 4-5. ბას დოსტი (ჰოლანდია, ჰერენვენი) | 32 |
| 4-5 ბურაქ ილმაზი (თურქეთი, ტრაბზონსპორი) | 32 |
| 6. რობინ ვან პერსი (ჰოლანდია, არსენალი) | 30 |
| 7. კლაას იან ჰუნტელაარი (ჰოლანდია, შალკე) | 29 |
| 8. ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი, მილანი) | 28 |
| 9-10 ორიბე პერალტა (მექსიკა, სანტოსი) | 28 |
| 9-10 სეიდუ დუმბია (კოტდივუარი, ცსკა მოსკოვი) | 28 |

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ ნახსენები ორგანიზაციის რეიტინგს არაფერი აქვს საერთო "ოქროს ბუცის" ნომინაციასთან, სადაც ბომბარდირთა მონაგარი ამა თუ იმ ქვეყნის ლიგის რეიტინგისა და კოეფიციენტების მიხედვით იანგარიშება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**მერანი**

# მუნინი ტაპე მარტვილს დაემშვიდობა

**დაახლოებით ერთი კვირაა, რაც მარტვილის "მერანმა" ახალი სეზონისათვის მზადება დაიწყო.**

"ლელო" უკვე წერდა გუნდში მიმდინარე ძირეული ცვლილებების შესახებ და შეგახსენებთ, რომ "მერანი" დატოვეს **ანზორ სუხიაშვილმა, თორნიკე კაკუშაძემ** (ორივე-"მეტალურგი"), **ელგუჯა გრიგალაშვილმა** ("ტორპედო"), **ვალერი იობაშვილმა, ლაშა ჩალაძემ** (ორივე - ფოთის "კოლხეთი"), **გიორგი მანწკავამ** (სომხეთის "ულისე"), **გიგა ბოხუამ, გიზო შენგელიამ, ოთარ ტორაძემ.**

გარდა ამისა, გადაწყვეტილი ამბავია, რომ "მერანს" დატოვებს ერთადერთი ლეგიონერი, კოტდივუარელი **მუნინი ტაპე,** რომელიც გასულ სეზონში გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახლდათ (7 გოლი). სავარაუდოდ, ტაპე კარიერას სამშობლოში გააგრძელებს, არადა, ორი წლის წინათ "მერანში" ექვსი კოტდივუარელი ფეხბურთელი ირიცხებოდა...

ცვლილებები შეეხო გუნდის სამწვრთნელო შტაბსაც: **არჩილ ჩხაბერიძე,** რომელიც მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო, ამიერიდან სელექციონერად იმუშავებს. "მერანს" კვლავ **მალხაზ ჟვანია** მოამზადებს, მას დაეხმარებიან: **პაატა ლუსმანაშვილი, ბაგრატ ხელაია** და **მამუკა მდინარაძე.**

"მერანის" შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებსა და სამომავლო გეგმების შესახებ კომენტარი გუნდის მთავარ მწვრთნელს **მალხაზ ჟვანიას** ვთხოვეთ

"მოთამაშეთა დიდ ნაწილს კონტრაქტი დაუსრულდა და სხვა კლუბში გადასვლა არჩიეს. ეს არც არის გასაკვირი,


მუნინი ტაპე

ნებისმიერი ფეხბურთელის მიზანი ხომ უფრო ძლიერ და ამბიციურ გუნდში თამაშია. ჩვენი ბიუჯეტიდან გამომდინარე, აქცენტს ადგილობრივებზე გავაკეთებთ, დავიმატეთ რამდენიმე ფეხბურთელიც: **ცოტნე ბუკია** ("კოლხეთი" ხობი), **ნოდარ ნოზაძე** ("დილა"), **გიგა კვერენჩხილაძე, დემურ სამსეიშვილი** (ორივე -"გურია"), **საბა ლომია** ("ზესტაფონი"), **გიორგი მჭედლიშვილი** ("ლოკომოტივი"), **გიორგი ბერაია** ("სპარტაკი").

ჯერჯერობით "მერანთან" ერთად ვარჯიშობს **გიგა გაბისონია,** რომელიც უკრაინის მოქალაქეა და ბოლო დროს იქაურ პირველ ლიგაში ასპარეზობდა. მისი მომავალი უახლოეს დღეებში გაირკვევა. სეზონის დაწყებამდე ჯერ დიდი დროა და გამორიცხული არ არის კიდევ დავიმატოთ ახალი ფეხბურთელები."

"მერანი" უახლოეს საკონტროლო შეხვედრას 9 ივლისს საჩხერის "ჩიხურასთან" გამართავს, 24 ივლისიდან კი გუნდი ურეკში გაემგზავრება და მოსამზადებელ ეტაპსაც იქ გაივლის.

**ბესიკ გვაზავა**

**ტრანსფერი**

# ქიაფაზმა ბერაიები გაიფორმა

აზერბაიჯანულმა "ქიაფაზმა" ტყუპ ძმებს, **გოგა** და **ირაკლი ბერაიებს** ერთწლიანი კონტრაქტები გაუფორმა. მათ განჯელთა შემადგენლობაში სინჯები წარმატებით გაიარეს. შეგახსენებთ, გოგამ გასული სეზონის პირველი ნახევარი თბილისის "დინამოს", მეორე კი "ზესტაფონის" შემადგენლობაში გაატარა, ირაკლი კი მცირე ხნით გორის "დილას" ღირსებას იცავდა და მას შემდეგ უკლუბოდ იყო.

ცნობისთვის, "ქიაფაზმა" აზერბაიჯანის გასულ ჩემპიონატში მეათე ადგილი დაიკავა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**მემატიანე**


კონსტანტინე შანიძე (მარჯვნივ) და ნოდარ ახალიკაცი-უმცროსი

# დინამოსთან ერთად დაბადებული... გინესის რეკორდსმენი

- კიდევ დააგვიანე, შე მამაძაღლო! - გამიბრაზდა კლდიაშვილის ქუჩის ეზოში პატარა ბიჭივით მოაჯირზე ჩამომჯდარი **კოსტანტინე შანიძე** ,ანუ „ძია კოსტია", როცა "დინამო"-"ბაიას" თამაშზე მის წასაყვანად რამდენიმე წუთის დაგვიანებით მივედი...

მე და კოსტია ძველი ძმაკაცები ვართ, რომ გავიცანი, მე ოცი წლის ვიყავი, ის 70-ის, მაგრამ ილარიონის არ იყოს – რა განსხვავებაა ჩვენ შორის? 9 აპრილს იგი 94 წლის გახდა, უკრაინაში ვიყავი ჩემი წიგნის პრეზენტაციაზე და ვერ მივულოცე დაბადების დღე, ამიტომ თბილისში ჩამოსვლისთანავე „დანაშაულის გამოსასყიდად" დავპირდი, "დინამოს" თამაშზე წაგიყვან და შენებურად სურათები გადაიღე-მეთქი. გადატანილი ოპერაციების მერე ბატონი კოსტია რამდენიმე წელია არ ყოფილა სტადიონზე... ჰოდა, 20 მაისის დილას საგანგებოდ გამზადებულა, თავისი განუყრელი 50 წლიანი „ზენიტიც" გაუკრიალებია და ფირიც ჩაუდია, რადგან ბატონი კოსტია არაფრით არ სცნობს ციფრულ ტექნიკას!

კოსტია შანიძე 1918 წელსაა დაბადებული, ერთ თვეში კი საქართველო დამოუკიდებელი გახდა და მისი ფეხის ადგმა და რუსების შემოჭრა ერთი იყო! სკოლაში რომ დაუწყია სიარული,..."დინამოს" სტადიონის მშენებლობა დაიწყო...მაშინ... იქ თურმე ბაღჩა ბაღები იყო გაშენებული და კიტრი და პომიდორი მოჰყავდათ, შანიძეებიც ახლანდელი მეტრეველის ქუჩაზე ცხოვრობდნენ, სტადიონიდან ფაქტობრივად რამდენიმე მეტრში, ჰოდა, პატარა ბიჭიც მუდამ მშენებლობაზე ჩხირკედელობდა. ერთადერთი, მაშინ მოუსვამდა სახლისკენ, როცა მშენებლობას გაკრიალებული შავი პობედა მოადგებოდა და მანქანიდან თავად **ლავრენტი ბერია** გადმოვიდოდა ხოლმე. უშიშროების მაშინდელი ვეშაპი სკრუპულოზურად ადევნებდა თვალს სტადიონის მშენებლობას და ერთხელაც ისე გაბრაზებულა, თავად მოუკიდია ნიჩბისთვის ხელი და მშენებლებისთვის უჩვენებია, როგორ უნდოდა საქმის გაკეთება! შეშინებულ მუშებს ბერიასთვის ხელის დასაბანად წყალი ვერ მოუძიებიათ და პატარა კოსტია შანიძე გაუგზავნიათ სახლში, რომელსაც თუნგით მიურბენინებია წყალი. ბერიას ხელი გადაუბანია და... პირსახოცი არავის აღმოაჩნდა! ენაჩავარდნილი ხალხი ისევ ბერიას გამოუყვანია მდგომარეობიდან და... პატარა შანიძის ხუჭუჭა თმაზე გაუმშრალებია ხელი...

მოკლედ, კოსტია შანიძეს მთელი ცხოვრება სტადიონზე აქვს გატარებული, 80 წლისა ისევ მხნედ დააბიჯებდა "დინამოს" თამაშებზე თავის განუყრელი აპარატით... "დინამოს" ყველა გულშემატკივარს ახსოვს ჭაღარა ფოტოგრაფი, პატარა **ნოდარ ახალკაცს** რომ დაატარებდა ხოლმე... არ მეგონა, პატარა ბიჭებსაც თუ ახსოვდათ, ჰოდა ძალიან გამიკვირდა და, რა თქმა უნდა, გამიხარდა, როცა მე და კოსტია სტადიონზე შევედით და "დინამოს" ფანკლუბ „გლადიატორების" მთელი შემადგენლობა ფეხზე წამოუდგა მხცოვან კაცს და ტაში დაუკრა... კოსტიას ცრემლები მოერია და ფოტოაპარატი მოიმარჯვა, ამასობაში ჩვენს **"კოტორას"** დაუნახავს ძველი დოსტი და სირბილით მოვარდა... ძნელი იყო თავი შეგეკავებინა მათი თბილი შეხვედრის შემხედვარეს... ჰოდა, "დინამომაც" ივარგა – კოსტიას გამოჩენა იყო და ზედიზედ სამი გოლი შეაგდეს!

ამ ჩანახატს მისი ცნობილი ოჯახობის შეხსენებით დავამთავრებ: ბატონი კოსტიას შვილი, ქალბატონი **ცისანა** საქართველოში ცნობილი მოცურავე გახლდათ და მერე დიდხანს მუშაობდა პირველ არხზე, მისი მეუღლე "დინამოს" ოქროს თაობის წარმომადგენელი **გურამ პეტრიაშვილი** იყო, კოსტიას შვილიშვილი კი "დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **დავით პეტრიაშვილია,** რომელიც ახლა უეფაში მოღვაწეობს.

**მამუკა კვარაცხელია**

**ლეგიონერი**

# დაუშვილმა ბანიკთან ითამაშა

ლვოვის "კარპატი" საკონტროლო შეხვედრაში ჩეხეთის გუნდს, ოსტრავის "ბანიკს" შეხვდა და 1:0 სძლია.

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **მურთაზ დაუშვილი** ლვოველთა რიგებში მეორე ტაიმის 73-ე წუთზე გამოჩნდა.

"კარპატის" მთავარი მწვრთნელი **ევგენი კუჩეროვი** ქართველი ლეგიონერის მომზადებით კმაყოფილია: "მურთაზს კარგი ფიზიკური მონაცემები გააჩნია. ჩვენთვის სიახლე არ არის, რომ ის კარგად დარბის. ამჯერად მან ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა და უკეთ გამოყურებოდა, ვიდრე ლვოვის შეკრებაზე. ეს იმაზე მეტყველებს, რომ შეკრებაზე გატარებული ორი კვირის განმავლობაში კარგად იმუშავა და ფიზიკურ მომზადებაში პროგრესი აქვს".

**მერაბ მამულაშვილი**


ბუბა დაუშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის ნაკრები

# ბლანის ეპოქა დასრულებულია

## დეშამის იწყება?

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა საფრანგეთის ნაკრებმა სამარცხვინოდ დაასრულა. "მამლებმა" ჯგუფურ ეტაპზე მატჩი ვერ მოიგეს, თუმცა ეს არ იყო მთავარი. ფეხბურთელებსა და **რაიმონ დომენეკს** შორის ურთიერთობები უკიდურესობამდე იყო დაძაბული. ურუგვაისთან მე-3 ტურის შეხვედრამდე ნაკრების ვარჯიში ჩაიშალა. ფეხბურთელებმა მწვრთნელს ავტობუსის კარები ცხვირწინ დემონსტრაციულად მიუხურეს. დომენეკმა გუნდიდან 3 ფეხბურთელი ნაადრევად დაითხოვა და სამხრეთამერიკელებთან ექსპერიმენტული შემადგენლობა დააყენა, რამაც არ გაამართლა. ამის შემდეგ, ფედერაციამ დომენეკს კარისკენ მიუთითა და გუნდში **ლორან ბლანს** უხმო. ახალგაზრდა მწვრთნელს გუნდში ძალიან მძიმე სიტუაცია დახვდა, თუმცა მან ეტაპობრივად თითქოს ყველაფერი დაალაგა... თითქოს იმიტომ, რომ შიდა სკანდალებსა და დაპირისპირებებს თანაგუნდელებსა თუ მწვრთნელს შორის უკრაინა-პოლონეთშიც ჰქონდა ადგილი. ერთმანეთთან იჩხუბეს **სამირ ნასრიმ** და **ალუ დიარამ**, ბლანს კი **ატემ ბენ არფა** დაუპირისპირდა.

ევრო 2012-ის მეოთხედფინალიდან "სამფეროვანთა" გამოვარდნის შემდეგ ლორან ბლანს ხელშეკრულება დაუმთავრდა. 27 ივნისს, ოთხშაბათს, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოელ ლე გრაე** და ბლანი ერთმანეთს შეხვდნენ, სადაც მწვრთნელს კონტრაქტის გახანგრძლივება კიდევ ერთხელ შესთავაზეს. რის შემდეგაც მან მოსაფიქრებლად რამდენიმე დღე ითხოვა. "ეკიპმა" შაბათსვე დაწერა, რომ ბლანმა საბოლოოდ ეროვნული გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა. ინფორმაცია ძალიან მალე ფედერაციის ვებგვერდმაც დაადასტურა. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, "სამფეროვანთა" სათავეში მოსვლის ყველაზე დიდ შანსი 1998/2000 წლების დიდი ნაკრების მეორე ვარსკვლავ **დიდიე დეშამს** აქვს. დეშამი "ველოდრომს" რამდენიმე დღეში ოფიციალურად დატოვებს. დიდიეს კანდიდატურას ემხრობა უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინიც**. *"ძალიან სამწუხაროა, რომ ბლანი მიდის, რადგან ვიცი, რომ ნაკრების მწვრთნელობა მას ევროპის ჩემპიონატის შემდეგაც სურდა. რაც შეეხება დეშამს, შემიძლია ვთქვა, რომ ნაკრებს ისიც კარგად იცნობს და რაც მთავარია, დიდიე კვალიფიციური მწვრთნელია. საბოლოო გადაწყვეტილება ისევ ფედერაციამ უნდა მიიღოს,"* – განუცხადა პლატინიმ "ეკიპს".



ლორან ბლანმა, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტა

ჩელსი

# ჩელსის უოლკოტი აინტერესებს



არსენალთან თეო უოლკოტის კონტრაქტის საკითხი ბუნდოვანია, ჩელსის სწორედ ამ სიტუაციით სურს სარგებლობა

"დეილი მირორის" ცნობით, "ჩელსიმ" ოფიციალურად შესთავაზა "არსენალს" **თეო უოლკოტის** ტრანსფერზე მოლაპარაკებების დაწყება. ინგლისის ნაკრების გარემარბს "მეთოფეებთან" ხელშეკრულებაში 1 წელიწადი დარჩა. მისი ხელფასი კვირაში 65 ათასი ფუნტია. "ლურჯები" მზად არიან, 23 წლის ფეხბურთელს ხელფასი თითქმის გაუორმაგონ, თანაქალაქელებს კი 15 მილიონი ფუნტი მიუთვალონ საკომპენსაციოდ. უოლკოტს თანამშრომლობის გახანგრძლივებას სთავაზობს "არსენალიც", მაგრამ მოლაპარაკებებს აქამდე შედეგი არ გამოუღია. ფრანგული პრესა იუწყება, რომ ფეხბურთელის შეძენას "პარი სენ-ჟერმენიც" გეგმავს. პარიზელები მზად არიან თეოს ზუსტად ის პირობები შესთავაზონ, რასაც მას "ლურჯები" ჰპირდებიან.

### ბოსინგვას და კალუს გამოეთხოვნენ

"ჩელსის" ოფიციალურმა ვებგვერდმა დაადასტურა, რომ მას შემდეგ, რაც **ჟოზე ბოსინგვასა** და **სალომონ კალუს** ხელშეკრულებების ვადა დაუმთავრდათ, მათ თავისუფალი აგენტების სტატუსები მოიპოვეს და ამიერიდან საკუთარი ბედის განკარგვა თავად შეუძლიათ. დედაქალაქური კლუბი მათთან თანამშრომლობის გაგრძელებას არ გეგმავს. ინგლისელი ჟურნალისტები ვარაუდობდნენ, რომ **რობერტო დი მატეო** მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ მათთან ხელშეკრულებების გაგრძელებას მოითხოვდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. იტალიელ მწვრთნელს კლუბისთვის ეს არ უთხოვია. ბოსინგვა "სტემფორდ ბრიჯზე" 2008 წლიდან თამაშობდა. "ჩელსის" მისი შეძენა თავის დროზე 16,3 მილიონი ფუნტი დაუჯდა. კალუ კი ლონდონელთა რიგებში 2006/07 წლების სეზონიდან ირიცხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ის არასოდეს მიიჩნეოდა ლონდონელთა წამყვან თავდამსხმელად, 6 წლის განმავლობაში მან ლურჯი მაისურით 60 გოლის გატანა მაინც მოახერხა.

გაჭიანურებული ტრანსფერი

# გადამწყვეტი დღე

რამდენიმე დღის წინ "ტოტენჰემში" **გილფი სიგურდსონის** ტრანსფერი გადაწყვეტილად გამოვაცხადეთ და სამწუხაროდ, მწარედ შევცდით. 22 წლის ფეხბურთელის აგენტის თქმით, მის კლიენტს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ისლანდიელს საბოლოო სიტყვა გუშინ საღამოს ან დღეს დილას უნდა ეთქვა. ასე რომ, გუშინდლამდე მისი გადაბირების შანსი "ტოტენჰემსა" და "ლივერპულს" თანაბრად ჰქონდათ. "დეილი მეილის" მტკიცებით, "ჰოფენჰაიმიდან" ფეხბურთელის შეძენის სურვილი "რედინგმა" და "ბაიერნმაც" გამოთქვეს, თუმცა ეს ხმები არ დასტურდება, რადგან ისლანდიელის წარმომადგენელ **სიგურდურ ადალსტეინსონს** ხსენებული კლუბებიდან არავინ დაკავშირებია. აი, რა თქვა "ინდეპენდენტთან" ინტერვიუში რთული სახელისა და გვარის აგენტმა: *"გილფის სურვილია, ისევე როგორც სხვა ფეხბურთელების, რომ რაც შეიძლება მაღალ დონეზე იასპარეზოს. ამ მიზნით მან, უპირველეს ყოვლისა, სწორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მომავალ კლუბთან დაკავშირებით. როცა ფეხბურთელს ისეთ ბრწყინვალე სპეციალისტთან მუშაობის პერსპექტივა აქვს, როგორიც ბრენდან როჯერსია, ეს უდიდესი პლუსია, რადგან როჯერსი ძალიან, ძალიან ძლიერი მწვრთნელია. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მისთვის პრიორიტეტი "ლივერპულია"? შესაძლოა... თუმცა გამორიცხვით სხვა კლუბებსაც ვერ გამოვრიცხავთ, ვისგანაც წინადადებები უკვე მივიღეთ. მე და გილფი უნდა დავსხდეთ. ავწონ-დავწონოთ პლუსები და მინუსები და საბოლოო გადაწყვეტილება ისე მივიღოთ. მას მერე, რაც სიგურდსონმა ისლანდიიდან ინგლისს მიაშურა, მუდმივად პროგრესირებს და შესაბამისად არ მიკვირს, როცა მისით ევროპის უძლიერესი კლუბები ინტერესდებიან. გაზეთებში ვკითხულობდი, რომ თურმე კლუბებისგან კონკრეტულ ხელფასს ვითხოვთ. მინდა გითხრათ, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ჭორებია. კარგი ხელფასის მიღება, რა თქმა უნდა, მასაც სურს, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მომენტია. მთავარი ის არის, რომ მას ფეხბურთის თამაში სურს".*



გილფი სიგურდსონი - ტოტენჰემი თუ ლივერპული?

ამბები

### იუნაიტედი ისევ გააქტიურდა

"მირორის" ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედი" ხელახლა გააქტიურდა "ევერტონის" 27 წლის მარცხენა მცველის **ლეიტონ ბეინსის** გადასაბირებლად. **ალექს ფერგიუსონისთვის** განაპირა მცველით შემადგენლობის გაძლიერება პრიორიტეტულია, რადგან შარშან გუნდს ამ პოზიციაზე ყველაზე მეტად უჭირდა. ბეინსი **პატრის ევრას** ღირსეული შემცვლელი იქნება. მარჯვენა მცველად კი **რაფაელის** გარდა **ფილ ჯონსსაც** შეუძლია თამაში. "ევერტონი" ბეინსს 20 მილიონად აფასებს, რაც ინგლისის ნაკრების ფეხბურთელის საბაზრო ღირებულებას ბევრად აღემატება. "წითელი ეშმაკები" მიიჩნევენ, რომ 15 მილიონი ფუნტი ადეკვატური კომპენსაცია იქნება. "იუნაიტედი" ყველაფერს ილონებს, რომ საკითხი 16 ივლისამდე, ანუ შეკრების დაწყების დღემდე გადაწყვიტოს.

### არსენალის დიდი წმენდა

1-ელ ივლისს "არსენალი" ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა, თუმცა უახლოეს დღეებში "მეთოფეები" შევსებას აუცილებლად მიიღებენ. მაშ ასე, გთავაზობთ "არსენალის" ოფიციალურ ვებგვერდზე დაყრდნობით მომზადებულ ინფორმაციებს.

კონტრაქტი დაუმთავრდათ, თანამშრომლობა არ შეუთავაზებიათ და "ემირიტსი" დატოვეს ძირითადი გუნდის შემდეგმა ფეხბურთელებმა: **მანუელ ალმუნია, ჯორჯ ბრაისლენ-ჰოლი, შონ მაკდერმოტი, გევინ ჰოიტი** და **რის მერფი**. გუნდიდან გაუშვეს დუბლების წევრები: **ალბან ბუნიაკუ, ჯეფრი მონკანა** და **ჯეიმს კემპბელი**. უკვე გადაწყვეტილია, რომ გუნდთან პროფესიულ კონტრაქტებს გააფორმებენ შემდეგი ფეხბურთელები: **სამირ ბიმუტენი, რაის ჩარლს-კუკი, ფილიპ რობერტსი, ჯორდან უინტერი, კრისტოფერ ოლსონი** და **ჰექტორ ბალერინი**. ამას გარდა 12 ახალგაზრდა ფეხბურთელი ჩაირიცხა "მეთოფეთა" აკადემიაში.

### ვილაშ ბოაში 11 მილიონს უარობს

ჯერ კიდევ უქმეებამდე ვრცელდებოდა ხმები, რომ "ტოტენჰემი" დღეისთვის მთავარ მწვრთნელად **ანდრე ვილაშ ბოაშის** წარდგენას გეგმავდა. თუკი ამბავი დადასტურდა, ეს ნიშნავს, რომ 34 წლის პორტუგალიელმა 11 მილიონი ფუნტის უზრუნველ შემოსავალზე თქვა უარი. საქმე ის არის, რომ მას "ჩელსიდან" გათავისუფლების სანაცვლოდ, ლონდონელებთან დარღვეული კონტრაქტის ვადით, კვირაში 100 ათასი ფუნტი შესთავაზეს. ოღონდ, ბუნებრივია, ისიც ითქვა, რომ კომპენსაციის გადახდა მაშინვე შეწყდებოდა, როცა მწვრთნელი ახალ სამსახურს იშოვიდა. ამრიგად, ვილაშ ბოაშს "ჩელსისგან" კუთვნილი უახლოესი 25 თვის ანაზღაურებაზე მოუწევს უარის თქმა.

### კოლო ტურე ტრანსფერზე

"დეილი მირორის" ინფორმაციით, "მანჩესტერ სიტიმ" 31 წლის კოტდივუარელი ცენტრალური მცველი **კოლო ტურე** ტრანსფერზე დააყენა. ვეტერან ფეხბურთელს "ქალაქელებთან" კონტრაქტი ზუსტად ერთ წელიწადში ეწურება. ტურეს გასხვისებას **რობერტო მანჩინი** ჯერ კიდევ წინა სეზონის დაწყებამდე გეგმავდა, მაგრამ მაშინ "ბაიერნთან" შეთანხმება არ მოხერხდა. რეკორდმაისტერმა "ეტიჰადიდან" **ჟერომ ბოატენგის** წაყვანა არჩია. იტალიელი მწვრთნელის განკარგულებაში სამი ძალიან კარგი ცენტრალური მცველი (**ვენსან კომპანი, ჯოლეონ ლესკოტი, სტეფან სავიჩი**) და ერთი ისეთი ფეხბურთელი რჩება, ვისაც ამ პოზიციაზე თამაში ძალიან კარგად შეუძლია (**მიკა რიჩარდსი**). კოლო ტურეთი ჯერჯერობით მხოლოდ თურქული და პოსტსაბჭოთა სივრცის მდიდარი წარმომადგენლები დაინტერესდნენ.

### ლორისი რეინას ნაცვლად?

ფრანგული გამოცემა 10 Sport-ის ცნობით, "ლიონისა" და საფრანგეთის ნაკრების მეკარე **უგო ლორისი** ახალ კლუბს ეძებს. ლორისი და კლუბის პრეზიდენტი **ჟან-მიშელ ოლა** ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე შეთანხმდნენ, რომ ევროპული გრანდის დაინტერესების შემთხვევაში "ლიონი" ტრანსფერს არ დაბლოკავდა. "ლივერპულ ექოს" ცნობით, უგო, შესაძლოა, "ლივერპულში" გადავიდეს. ლორისს "ლიონთან" კონტრაქტი 2015 წლამდე აკავშირებს. ენფილდელებს 25 წლის მეკარის შეძენა 18 მილიონი ევრო დაუჯდებათ. მერსისაიდელებს არჩევანის გაკეთება მოუწევთ მასა და **პეპე რეინას** შორის, რადგან ვარსკვლავური სტატუსის მქონე არც ერთი გოლკიპერი სათადარიგოთა სკამზე დაჯდომას არ დათანხმდება. "წითლებს" ესპანელი კარის დარაჯის გასასხვისებლად კონკრეტული წინადადება უკვე აქვთ – რეინას გადაბირება "მილანს" უნდა. ყველაფერი მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გაირკვევა, რადგან გადაწყვეტილების მიღებამდე **ბრენდან როჯერსს** რეინასთან პირისპირ სურს დალაპარაკება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ლეგენდა

# ალესანდრო დელ პიერო გიფოზებს დაემშვიდობა

### 1-ელ ივლისს დიდი ეპოქა დასრულდა



ალესანდრო დელ პიერო "იუვენტუსის" ფეხბურთელი აღარაა

**1-ელ ივლისს ალესანდრო დელ პიეროსა და ტურინის "იუვენტუსს" შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა – ეს კი იმას ნიშნავს, რომ დასრულდა ერთი დიდი ეპოქა, რომელსაც 19 წლის წინ დაედო სათავე. დელ პიერო "იუვეს" ფეხბურთელი აღარაა და ამასთან დაკავშირებით, მან ღია წერილი გამოაქვეყნა, რომელსაც აქვე გთავაზობთ...**

*„ახალი არაა, რომ "იუვენტუსს" ვტოვებ, თუმცა ოფიციალურად, ეს ამბავი სწორედ დღეს ხდება – ამიტომ, გამოსამშვიდობებელი წერილი აქამდე არ გამომიქვეყნებია. ვერ ვიტყვი, რომ დღეს განსაკუთრებულად დამწუხრებული ვარ, რადგან სეზონი კარგა ხანია დასრულდა და ყველაფრის გააზრება მოვახერხე. ჩემთვის ყოველთვის დაუვიწყარი იქნება ის წლები, რომლებიც "იუვეში" გავატარე, ის გამარჯვებები და თუნდაც ის უმძიმესი მარცხები, რომელთა შემდეგაც ძილიც კი მიჭირდა. არასოდეს დამავიწყდება 2012 წლის 13 მაისი, როდესაც უკანასკნელად ვითამაშე ტურინელი გულშემატკივრების წინ და დავასრულე კიდეც დიდი ისტორია.*

*ფეხბურთელები მიდიან და მოდიან, "იუვენტუსი" კი რჩება. რაც მთავარია, რჩებიან გულშემატკივრები, რომლებიც ყოველთვის გვერდით ედგნენ "ბებერ ქალბატონს". ძალიან მიხარია, რომ 10-ნომრიანი მაისურით კიდევ ითამაშებენ "იუვენტუსში" და დიდი სურვილი მაქვს, რომ კიდევ უფრო უკეთესად ითამაშონ, ვიდრე დელ პიერო თამაშობდა. ამაყი ვარ იმით, რომ იტალიაში და მთელ მსოფლიოში, ბევრს უნდა "იუვეს" 10-ნომრიანი მაისურის მორგება; ამაყი ვარ იმით, რომ ბევრს უნდა ისევე ითამაშოს, როგორც მე ვთამაშობდი – ისევე როგორც, თავის დროზე, მე შევნატროდი დიდ ფეხბურთელებს.*

*ხვალიდან მე აღარ ვიქნები "იუვენტუსის" ფეხბურთელი, მაგრამ ყოველთვის დავრჩები ერთ-ერთ თქვენიანად. ვიწყებ ახალ ცხოვრებას, როგორც 19 წლის წინ. მადლობა ყველაფრისთვის და ნახვამდის".*

**ალესანდრო დელ პიერო**
01.07.2012

სამპდორია

# სამპდორიას ფერარა ჩაიბარებს

### ჩირო იტალიის ახალგაზრდული ნაკრებიდან წავა

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ მომდევნო სეზონიდან გენუის "სამპდორიას" მთავარი მწვრთნელი **ჩირო ფერარა** იქნება. მხარეებს შორის ყველა დეტალი უკვე შეთანხმებულია, თუმცა არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც გადაწყვეტას საჭიროებს – საქმე იმაშია, რომ ფერარა იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელია და ფედერკალჩოსთან მოქმედი ხელშეკრულება აკავშირებს.

*"იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობა ჩემთვის დიდი პატივია, მაგრამ ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად ვფიქრობდი საკლუბო ფეხბურთში დაბრუნებაზე და ამის შესანიშნავი შანსი მომეცა. "სამპდორიას" მესვეურები დამიკავშირდნენ და ხელშეკრულების გაფორმება შემომთავაზეს, რაზეც თანხმობა განვაცხადე. თუმცა, სანამ ეს ფორმალობები მოგვარდება, იქამდე იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებს უნდა დაველაპარაკო. ფედერკალჩოსთან მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს, რომელიც უნდა გავწყვიტოთ. ვიცი, რომ ამის წინააღმდეგ არც ფედერაციაში წავლენ, მაგრამ ასეა თუ ისე, საკითხი მოსაგვარებელია".*

აქვე ვთქვათ, რომ "სამპდორიას" მესვეურებს ყველაზე მეტად **რაფაელ ბენიტესის** დანიშვნა სურდათ, მაგრამ ესპანელ სპეციალისტთან შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. შემდეგ, **მაურისიო პოჩეტინოის** ვარიანტი გამოჩნდა, რომელიც „ესპანიოლს" წვრთნის, მაგრამ ბოლოს არჩევანი სწორედ 45 წლის ჩირო ფერარაზე შეჩერდა.



ჩირო ფერარამ იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებს "სამპდორია" ანაცვალა

სავარაუდო ტრანსფერი

# ლუსიო: ინტერიდან იუვეში?



ძალიან მალე ლუსიო შეიძლება "იუვენტუსში" გადაბარგდეს

34 წლის ბრაზილიელმა მცველმა **ლუსიომ** "ინტერთან" ხელშეკრულება გაწყვიტა და თავისუფალი აგენტი გახდა. უმალ გავრცელდა ცნობები, თუ სად შეიძლება გააგრძელოს კარიერა უკანახაზელმა, ყველაზე რეალური კი მისი "იუვენტუსში" შესაძლო გადაბარგებაა. ამაზე თვით ტურინული გრანდის სპორტულმა დირექტორმა, **ჯუზეპე მაროტამ** ისაუბრა:

*"ლუსიო უმაღლესი კლასის ფეხბურთელია და დიდი სურვილი გვაქვს, რომ მასთან ხელშეკრულება გავაფორმოთ. თუმცა, დღეს ამაზე ლაპარაკი ცოტა ადრეა – უახლოეს დღეებში ბრაზილიელთან შეხვედრას ვაპირებთ და იქ, გაეცემა ყველა კითხვას პასუხი. ჯერ ისიც არ ვიცით, თვითონ ლუსიოს რა სურს და უნდა თუ არა საერთოდ კარიერის "იუვენტუსში" გაგრძელება. ჩვენი მხრივ, ამის დიდი სურვილი გვაქვს".*

რთული წარმოსადგენია, რომ ლუსიოს "იუვენტუსში" გადაბარგება არ უნდოდეს, მაგრამ კულუარული ინფორმაციის თანახმად, "ინტერმა" მხოლოდ იმ პირობით გაუწყვიტა კონტრაქტი, თუ სხვა იტალიურ კლუბში არ გადაბარგდება. ეს ცნობა ოფიციალურად ჯერ არ დადასტურებულა და ისღა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

მილანი



მატია დესტროს გადაბირება "მილანის" მესვეურებს სურთ

# დესტრო მილანის სამიზნეში

### ფორლანს უარყოფენ, ზეედორფი კი ბოტაფოგომ გაიფორმა

ბოლო დღეებში "მილანთან" დაკავშირებით ბევრი საინტერესო ინფორმაცია ვრცელდება; ერთ-ერთი ცნობის თანახმად, "როსონერის" მესვეურებს **დიეგო ფორლანის** გადაბირება განუზრახავთ, რომელმაც გასული სეზონი "ინტერში" გაატარა და თავი ბევრი ვერაფრით წარმოაჩინა. ვეტერან ურუგვაელს იტალიაში დარჩენის სურვილი აქვს და თუ "მილანიდან' წინადადებას მიიღებს, ალბათ სიამოვნებით დათანხმდება. თუმცა, ლომბარდიული გრანდის მესვეურებს ფორლანის მიმართ ინტერესი არ დაუდასტურებიათ – მაგალითად, **ადრიანო გალიანიმ** ამ კითხვას თავი აარიდა და სულ სხვა ფორვარდზე, ახალგაზრდა **მატია დესტროზე** გაამახვილა ყურადღება – მოვუსმინოთ "მილანის" ვიცე-პრეზიდენტს:

*"ფორლანი? – ძალიან კარგი ფორვარდია, მაგრამ ამაზე უფრო საინტერესოს ვერაფერს გეტყვი. აი, მატია დესტროს გადაბირება კი ძალიან გვინდა და ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია. მატიამ გასული სეზონი შესანიშნავად ჩაატარა და შემთხვევით არ მოხვედრილა იტალიის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში. დარწმუნებული ვარ, "მილანში" კიდევ უკეთესად ათამაშდება და საუკეთესო შესაძლებლობებს წარმოაჩენს. საერთოდ, ჩვენი მიზანი ახალგაზრდა მოთამაშეების დამატებაა, რომლებიც წლების განმავლობაში დაიცავენ "როსონერის" ღირსებას".*

პრესასთან კომენტარი "სიენას" სპორტულმა დირექტორმა **სტეფანო ანტონელიმაც** გააკეთა და შემდეგი განაცხადა: *"მატიას შენარჩუნება ძალიან გვინდა, მაგრამ სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ მიზნის მიღწევა გაგვიჭირდება. მის მიმართ ისეთი გიგანტები იჩენენ ინტერესს, როგორებიც "ინტერი" და "მილანი" არიან. უფრო მეტად მაინც "როსონერის" მესვეურები აქტიურობენ და დიდია შანსი, გარიგება შედგეს კიდეც. ბევრი რამე თვითონ ფეხბურთელის სურვილზეა დამოკიდებული და ვნახოთ, ყველაფერი მალე გაირკვევა".*

### ცოლოურობაში

ამასობაში, "მილანი" ვეტერანმა ჰოლანდიელმა **კლარენს ზეედორფმა** ოფიციალურად დატოვა და ხელშეკრულება ბრაზილიურ "ბოტაფოგოსთან" გააფორმა. შეგახსენებთ, რომ კლარენსის მეუღლე ბრაზილიელი გახლავთ და სწორედ მისი ინიციატივა იყო ქმრის იტალიიდან აბარგება და მის სამშობლოში გადაბარგება. იტალიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზემ "ბოტაფოგოსთან" 2-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა; შეგახსენებთ, რომ 36 წლის ფორვარდმა "მილანი" თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა.

პალერმო

# ძამპარინი მიკოლიმ გაანაწყენა

იტალიურ სპორტულ პრესაში მოულოდნელი ინფორმაცია გავრცელდა, რომლის მიხედვითაც, დიდი შანსია, **ფაბრიციო მიკოლი** არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში გადაბარგდეს და იქაურ ჩემპიონატში იასპარეზოს. 33 წლის ფორვარდს ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი "ალ ნასრი" ეპატიჟება და ბუნებრივია, რომ კოლოსალურ გასამრჯელოსაც სთავაზობს. მოკლედ, მიკოლიმ ცდუნებას ვერ გაუძლო და არაბებთან მოლაპარაკებები წამოიწყო, რაც "პალერმოს" მესვეურებისთვის მიულებელი აღმოჩნდა – აი, რა განაცხადა "კორიერე დელო სპორტთან" საუბარში სიცილიური კლუბის პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ**:

*"ფაბრიციო მიკოლის რამდენიმე დღის წინ ვესაუბრე და მითხრა, რომ კარიერას აუცილებლად "პალერმოში" გააგრძელებდა. კარგა ხანი მარწმუნებდა, რომ მისთვის ყველა წინადადება უინტერესოა და სურს, კიდევ მინიმუმ ერთი სეზონი ჩვენთან დარჩეს. გავიდა რამდენიმე დღე და გავიგე, რომ ფაბრიციო არაბებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს – თანაც ისე, რომ ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცით. მისი მხრიდან ეს არაპროფესიონალური საქციელია და ამან ძალიან დამწყვიტა გული. მიკოლის გუნდის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის და თუ წასვლა უნდა, ნამდვილად არ შევაფერხებთ. მთავარია, რომ ამის შესახებ გულახდილად მითხრას და არა მგონია, რომ ერთმანეთს ვერ გავუგოთ. აუცილებლად დაველაპარაკები მას და ვეცდები, რომ ყველაფერში გავერკვე".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



ფაბრიციო მიკოლი არაბულ "ალ ნასრისთან" მოლაპარაკებებს ფარულად მართავდა

# ევრო 2012

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ნაკრები

# ლიოვი: პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ!

## გერმანელები იოგის გაშვებაზე არ ფიქრობენ და არც თვითონ აპირებს გადადგომას

**როგორც** მოსალოდნელი იყო, იტალიასთან წაგებამ, გერმანიაში უდიდესი დისკუსია წარმოშვა. მსჯელობის უმთავრესი ობიექტი, რა თქმა უნდა, ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვია, რომელსაც ახლა ევრო 2008-ისა და 2010 წლის მუნდიალის შემდეგ მხოლოდ ტიტულს სთხოვდნენ და რაკი გერმანია ისევ უტიტულოდ დარჩა, მიუხედავად იოგისადმი უდიდესი პატივისცემისა, ექსპერტებმა მაინც დაიწყეს საუბარი იმაზე, თუ რამდენად ღირს ლიოვის პოსტზე დატოვება.

გერმანელები სამშობლოში პარასკევს დაბრუნდნენ და ლიოვმა ფრანკფურტის აეროპორტშივე თქვა, გადადგომას არ ვაპირებ და ვფიქრობ, ამ თემის წამოჭრა უადგილოაო. „ჩემში დაეჭვების საფუძველი არ არსებობს," - მიახალა იოგიმ გერმანელ ჟურნალისტებს და იქვე დასძინა, ამ წაგების შემდეგ ერთბაშად ყველაფრის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება უადგილოაო.

ასე რომ, ლიოვი გადადგომაზე არ ფიქრობს და გერმანიის საფეხბურთო კავშირთან 2014 წლამდე გაფორმებული კონტრაქტის შესრულება უნდა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოგი ბუნდესმწვრთნელის თანამდებობაზე დარჩება, რადგან მის გაშვებაზე არც საფეხბურთო კავშირში უფიქრიათ.


გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი

„გადადგომაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დავფიქრდებოდი, ჯგუფში რომ ჩავრჩენილიყავით. ვაღიარებ, რომ შეცდომები მეც დავუშვი და ახლა მათ გამოსწორებაზე, გუნდის სრულყოფაზე უნდა ვიფიქრო," - თქვა ლიოვმა.

გერმანიის ნაკრების თავკაცმა აღიარა, შესაძლოა, იტალიასთან **მარიო გომესის, ტონი კროოსისა** და **ლუკას პოდოლსკის** ძირითად შემადგენლობაში დაყენება შეცდომა იყო და ალბათ უმჯობესი იქნებოდა, რომ კვლავ **მიროსლავ კლოზე, ანდრე შიურლე** და **მარკო როისი** გამეშნესებინაო, მაგრამ იქვე დასძინა: *„პოსტფაქტუმ საუბარი ყოველთვის ადვილია. მთავარი ის არის, რომ მარცხისთვის პასუხისმგებლობას მთლიანად საკუთარ თავზე ვიღებ!"*

### სჭირა თუ არა გერმანიას ლიოვის?

გაზეთმა „ბილდმა" გერმანული ფეხბურთის კორიფეები, ექსპერტები და ყოფილი ბუნდესმწვრთნელები გამოკითხა. კითხვა ასე ჟღერდა: კიდევ გჯერათ იოახიმ ლიოვის?

გერმანიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი (მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონობა 2002 წელს) და 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **რუდი ფიოლერი** (52 წლის): *„იოგი, რა თქმა უნდა, პოსტზე უნდა დარჩეს. არ არსებობს მიზეზი, რის გამოც მის გათავისუფლებაზე უნდა ვიფიქროთ."*

გერმანიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი (ევროპის ჩემპიონობა 1996 წელს) **ბერტი ფოგტსი** (65): *„გერმანიის ნაკრებისთვის იოახიმ ლიოვზე უკეთესი მწვრთნელი არ მეგულება. მისი შესაძლებლობების ეჭვქვეშ დაყენება სამარცხვინო საქციელია."*

„ვოლფსბურგის" მწვრთნელი და მენეჯერი **ფელიქს მაგათი** (58): *„ლიოვს სადავეები ხელიდან არ გაჰქცევია. თავდაჯერება არ უნდა დაკარგოს – იოგი ძალიან კარგი მწვრთნელია. უბრალოდ, მორიგი წარუმატებლობა კარგად უნდა გაანალიზოს. ხომ გვინდა, რომ 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონები გავხდეთ?"*

დორტმუნდის „ბორუსიას" გენერალური მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** (53): *„ლიოვი უნდა დარჩეს. ამ ეტაპზე იოგი უალტერნატივოა! ცხადია, ძალიან ცუდია, რომ იტალია ისევ ვერ დავამარცხეთ და ნახევარფინალიდან გამოვვარდით, მაგრამ ეს არ არის კატასტროფა."*

1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და ევრო 1996-ის გამარჯვებული, გერმანიის ნაკრების რეკორდსმენი **ლოთარ მათეუსი** (51): *„ერთი წაგების შემდეგ უდიდესი შრომის წყალში გადაყრა და კრიტიკა ადვილია, მაგრამ ფაქტია, რომ გერმანიის ნაკრებს ლიდერები არ ჰყავს. ლამი და შვაინშტაიგერი კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ მათ მეტი უნდა მოვთხოვოთ. რაც შეეხება მწვრთნელს – გერმანიის ნაკრების ღირსეული დამრიგებელი ჰყავს. გერმანია ზედიზედ 4 დიდ ტურნირზე მინიმუმ ნახევარფინალში გავიდა – ეს ძალიან კარგია, მაგრამ არ არის საკმარისი. გერმანიის ნაკრები უბრალოდ ვალდებულია, მოიგოს ტიტული. ამისათვის კი ლიდერია საჭირო ისეთი, როგორიც 1996-ში ზამერი იყო."*

ექსპერტის მოსაზრება

# გიუნტერ ნეტცერი: გერმანიას არ ჰყავს პერსონები!

## ლეგენდარულმას ათიანმა ბუნდესგუნდი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა

გიუნტერ ნეტცერი,
ბილდი

**შემადგენლობას**, რომელიც **იოახიმ ლიოვმა** ნახევარფინალში, იტალიის ნაკრების წინაალმდეგ მოედანზე გაიყვანა, ძალიან ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა, ოღონდ მატჩის შემდეგ. მანამდე კი ექსპერტებსა და ჟურნალისტებს იოგი ქებით ცაში აჰყავდათ და ისე გამოვიდა, რომ იტალიასთან მატჩამდე ყველაფერი იდეალურად იყო, ხოლო იტალიასთან წაგების შემდეგ ფირფიტა ყველამ უცებ შეატრიალა. გამოჩნდა ხალხი, ვინც თამამად თქვა, რომ ნახევარფინალში ძირითადი შემადგენლობა არასწორად იყო შერჩეული. ლიოვი პატივისცემას იმსახურებს იმის გამო, რომ შეცდომები მალევე აღიარა და პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო, მაგრამ ეს არ არის პრობლემა...

პირადად მე გადაჭარბებულად მიჩნევდი და მივიჩნევ როგორც ლიოვის ქებით ცაში აყვანას, ისე კრიტიკით მიწასთან გასწორებას წაგებული თამაშის შემდეგ. აზრის შეცვლას არ ვაპირებ და კარგი სიტყვები, რაც ლიოვზე აქამდე მითქვამს, უკან არ მიმაქვს. ჩემთვის იოახიმ ლიოვი დღესაც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია და მინდა, რომ მან მუშაობა გააგრძელოს. გერმანიის საფეხბურთო ნაკრები კი უბრალოდ ამ მოსაზრების პირველი სარკეა ახლა – როცა ევროპის ჩემპიონატი დასრულდა, ჩვენ კი ისევ ხელცარიელები ვართ.

ჩვენ გვყავს კარგი ფეხბურთელები, კარგი გუნდი და კარგი მწვრთნელი, მაგრამ აღარ გვყავს პერსონები და რაც ყველაზე მტკივნეულია, ფეხბურთელს ვერასდროს ასწავლი ან აიძულებ, გახდეს პერსონა. ლიოვის მთავარი და თითქმის ერთადერთი სერიოზული შეცდომაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ 6 წლის განმავლობაში არ მოძებნა ისეთი ტიპები, რომლებიც პერსონები იქნებოდნენ და საჭიროების შემთხვევაში გუნდისთვის რაიმე განსაკუთრებულს გააკეთებდნენ – დიდი ტურნირების მოსაგებად მხოლოდ კარგი, თუნდაც უმაღლესი კლასის ფეხბურთელები საკმარისი არ არის.

შეხედეთ იტალიის ნაკრებს, რომელმაც კიდევ ერთხელ გაგვამწარა: **ჩეზარე პრანდელის** გუნდში ერთი კი არა, რამდენიმე პერსონა ჰყავს! **ჯანლუიჯი ბუფონი, ანტონიო კასანო, ანდრეა პირლო, დანიელე დე როსი** საუკეთესო მაგალითები არიან. დაინახეთ, როგორ მღეროდნენ ჰიმნს იტალიელები? ხმის ჩახლეჩამდე, უდიდესი ვნებით და პატრიოტული სულისკვეთებით! მე ჯერ კიდევ ჰიმნების დროს მივხვდი, რომ ამ თამაშს წავაგებდით – იმიტომ, რომ გერმანიის ნაკრებში ნახევარი გუნდი არ მღეროდა. თუმცა დავუბრუნდეთ თემას: პირლო, დე როსი, კასანო და ბუფონი ხომ არიან პერსონები და იტალიელებს **კიელინის, მარკიზიოსა** და **მონტოლივოს** სახით ასე ვთქვათ ნახევრად-პერსონებიც ჰყავთ, რომლებიც ბრაზილიის მუნდიალამდე სრულყოფილ ტიპებად ჩამოყალიბდებიან.

ზემოთაც ვთქვი, რომ ლიოვის მთავარი შეცდომა სწორედ ისაა, რომ ასეთი ტიპაჟები არ მოძებნა, მაგრამ იქნებ თავად არ სურდა? რატომ? მწვრთნელებს ხანდახან არ უნდათ ხოლმე, რომ რომელიმე ფეხბურთელს ან ფეხბურთელებს განსაკუთრებული უფლებები ჰქონდეთ. ცხადია, შეიძლებოდა, ასეთი განსაკუთრებული ლიდერის ან ლიდერების გარეშეც მოგვეგო ტიტული, მაგრამ ამის შანსი ძალიან მცირე იყო, რადგან ფეხბურთის ისტორიაში პერსონები ყველა დიდ და წარმატებულ გუნდს ჰყავდა. ალბათ ხვდებით, როგორ ფეხბურთელებსაც ვგულისხმობ და ტიპაჟის აღწერას აღარ დავიწყებ. მხოლოდ იმას დავძენ, რომ ასეთი მოთამაშეები ყოველთვის პასუხისმგებლიანები არიან და წარუმატებლობის დროს პირველებს უწევთ მედიასთან ბრძოლა და კრიტიკის ატანა. გერმანიის ნაკრებში კი ფეხბურთელები კაციშვილმა არ გააკრიტიკა – ვინც კრიტიკა მოისურვა, ყველა ლიოვს მისდგა. ესეც თქვენ, იოახიმ! თქვენ თავად მოისურვეთ გუნდში ასეთი იერარქია. თუმცა მე გაფასებთ იმის გამო, რომ პასუხისმგებლობას არ გაურბიხართ, მაგრამ ეს ვერაფერი შეღავათია. მთავარი ისაა, რომ ჩვენ ისევ უტიტულოდ დავრჩით.

...არ ვგულისხმობ ეგოისტ ფეხბურთელებს ან ისეთს, რომლისგანაც ვინმემ კულტი უნდა შექმნას. უბრალოდ, ყველა გუნდს სჭირდება კონკრეტული, ზუსტი იერარქია, ოღონდ არა ისეთი, სხვა ფეხბურთელები რომ იჩაგრებიან ხოლმე. მინდა, მოედანზე ვხედავდე თუნდაც მხოლოდ ერთ მოთამაშეს, რომელიც გაჭირვებისას თანაგუნდელებს შემოუძახებს, ოღონდ მარტო შემოძახება ან მეტოქე ფეხბურთელის მოცელვაც არ კმარა – ასეთ მოთამაშეს საფეხბურთო თვალსაზრისითაც უნდა შეეძლოს რაღაცის გაკეთება.

> „ნახეთ, როგორ მღეროდნენ ჰიმნს იტალიელები? ხმის ჩახლეჩამდე, უდიდესი ვნებით და პატრიოტული სულისკვეთებით! მე ჯერ კიდევ ჰიმნების დროს მივხვდი, რომ ამ თამაშს წავაგებდით"


გიუნტერ ნეტცერი

იტალიასთან მატჩში პერსონების არარსებობა ყველაზე მტკივნეულად გამოჩნდა. მაინც ვისგან ვითხოვ ყოველივე ზემოთთქმულს? რაკი ლიოვმა ასეთი ფეხბურთელები არ ეძება, დღევანდელი შემადგენლობიდან მე ამ ყველაფერს პირველ რიგში გამოცდილი მოთამაშეებისგან ვითხოვ.

**ფილიპ ლამი**, როგორც გერმანიის ნაკრების კაპიტანი, ამ სიაში პირველია. ფილიპი კამერების წინ რიტორიკული თვალსაზრისით საუკეთესოა ხოლმე, მაგრამ მხოლოდ იმ დროს, როცა ყველაფერი კარგადაა. სხვათა შორის, საფეხბურთო თვალსაზრისითაც არაა გამორჩეულად კარგი – „ბაიერნშიც" და ახლაც, ჰოლანდიასთან მატჩში, დაცვაში ამ რანგის მოთამაშისთვის უპატიებელი შეცდომები დაუშვა და მერე წინ თამამად წასვლას და მთელი გუნდის აყოლიება აღარც უცდია.

**ბასტიან შვაინშტაიგერი** კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ბუნებით არ არის ლიდერი. ჰოლანდიასთან თამაშის შემდეგ შვაინის ვაქებდი ბრწყინვალე პასების გამო, მაგრამ ისიც ვთქვი, შვაინშტაიგერმა მუდმივად ასე უნდა ითამაშოს-მეთქი. ევროპის ჩემპიონატზე ლიდერის მოვალეობების მხოლოდ ერთ მატჩში შესრულება არათუ არასაკმარისი, სასაცილოც კია.

> „შვაინშტაიგერი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ბუნებით არ არის ლიდერი"

**ლუკას პოდოლსკიზე** ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ნაკრებში მხოლოდ იმიტომ თამაშობს, ლიოვი რომ ენდობა და რომ სხვა მწვრთნელის ხელში ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი არ ექნებოდა. იოგი პოლდის ზედმეტად ენდობა, ლუკასმა კი ნდობა ვერა და ვერ გაუმართლა. სან მარინოსთან პოკერის შესრულება საქმე არ არის – საქმე იტალიასთან მაღალ დონეზე თამაშია!

გერმანიის ნაკრების არცერთი ფორმაციის ნაკრებს არ ჰქონია ისეთი იდეალური პირობები, როგორიც ამ გუნდს აქვს. ბევრჯერ მოვისმინე ისეთი ეპითეტიც, როგორიცაა „ყველა დროის საუკეთესო ბუნდესგუნდი"... შეგვხვდება ხოლმე მერე იტალია ან ესპანეთი და „ოქროს თაობის" წარმომადგენლები შარვლებს ავსებენ...

მაგრამ მთავარი პრობლემა არც ესაა – რაც უნდა იყოს, გერმანიის ნაკრებისთვის მწვრთნელს ყოველთვის ვიშოვნით. საქმე ისაა, რომ ბუნდესგუნდი ისევ უტიტულოდ დარჩა და ახლა ყველას ერთი კითხვა უტრიალებს: რატომ? რატომ ველარ იგებს გერმანია ტიტულებს?

რასაც ახლა ვიტყვი, ადრეც თქმულა, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ამჯერად ჩემი ნათქვამი მხოლოდ ფეხბურთს არ ეხება – ზოგადად ჩვენს, სრულიად გერმანიის საზოგადოებას აკლია პერსონები, განსაკუთრებული ტიპები.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

საპარლამენტო ბიბლიოთეკა

# ფინალი ევრო 2012

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მატჩი №31. 01.07. კიევი. ოლიმპიური**

| ესპანეთი | იტალია |
|---|---|
| 4 | 0 |

**ესპანეთი (4-3-3):** კასილიასი - არბელოა, პიკე, სერხიო რამოსი, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ჩაბი ალონსო - სილვა (59. პედრო), ფაბრეგასი (75. ტორესი), ინიესტა (86. მატა).

**იტალია (4-4-2):** ბუფონი - აბატე, ბარძალი, ბონუჩი, კიელინი (21. ბალძარეტი) - დე როსი, პირლო, მარკიზიო, მონტოლივო (56. მოტა) - კასანო (46. დი ნატალე), ბალოტელი.

**გოლები:** 1:0 სილვა (14), 2:0 ალბა (41), 3:0 ტორესი (84), 4:0 მატა (88)

**გაფრთხილება:** პიკე - ბარძალი

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 17-10; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 14-11 (9-6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 68 000

ევრო 2012 დასრულებულია - „ბებერ" კონტინენტს დამსახურებული ჩემპიონი ჰყავს - ესპანეთის ნაკრები. გუნდი, რომელმაც მსოფლიო ფეხბურთის ისტორია გადაწერა. გუნდი, რომელმაც პირველმა შეძლო ევროპის ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება, პირველმა გააკეთა უცნაური და საოცარი „ჰეთ თრიკი" - ზედიზედ სამი დიდი ტურნირი მოიგო. ფინალში ესპანელთა უპირატესობა ძალზე დამაჯერებელი იყო, ფინალის ანგარიში კი - რეკორდული. მომდევნო ოფიციალურ მატჩს ეს დიდი გუნდი 11 სექტემბერს გამართავს.

თბილისში შეხვედრამდე!



ესპანელების ტრიუმფი

# თბილისში შეხვედრამდე

## 11 სექტემბერს საქართველოში მსოფლიო ფეხბურთის ისტორიის გადამწერი გუნდი ჩამოვა

### ტაქტიკა/სტრატეგია

**ვისენტე დელ ბოსკემ** გადაწყვიტა ცრუ ცენტრ-ფორვარდით თამაში, სასტარტო შემადგენლობაში ამჯერად **სესკ ფაბრეგასი** ვიხილეთ. არ გამართლდა ზოგიერთის ვარაუდი, თითქოს, მწვრთნელი **ჩავის** სასტარტოს მიღმა დატოვებდა და **ინიესტას** სიღრმეში დახევდა. მსგავსიც არაფერი მომხდარა.

ჩეზარე პრანდელის 11-ეულიც ადვილად გამოსაცნობი იყო, **აბატე** გამოჯანმრთელდა და, ბუნებრივია, დაიბრუნა ადგილი მარჯვენა ფლანგზე. თავიდანვე გამოჩნდა, რომ ესპანური არმადას წინაალმდეგ პრანდელის აქცენტი გრძელ გადაცემებზე ჰქონდა გაკეთებული, **კასანოსა** და განსაკუთრებით **ბალოტელის** იმედად.

### საუკეთესო ფეხბურთელი

### ანდრეს ინიესტა (ესპანეთი)

ჩვენი და ოფიციალური წყაროს შეფასება ემთხვევა - ესპანეთის ნაკრებში ბევრმა ითამაშა ძალიან კარგად, **იკერ კასილიასმა**, ჩავიმ, **დავიდ სილვამ**, სხვებმაც, მაგრამ საუკეთესო მაინც ინიესტა იყო, რომელიც ყველაზე იოლად ამწვავებდა სიტუაციას მეტოქის კართან, რომლის ბურთის მიღება და პრობლემები იტალიელთა დაცვაში ერთი იყო.

### ფეხბურთელი იმედგაცრუება

### კლაუდიო მარკიზიო (იტალია)

შეუმჩნეველი მთელი 90 წუთის განმავლობაში, ის **დე როსი** და **მონტოლივო** ესპანელმა ვიზავებმა უბრალოდ „გადაყლაპეს".

### მსაჯი

პორტუგალიელმა არბიტრმა **პედრო პროენშამ** ამ სეზონში მეორე დიდი ფინალი იმსაჯა - ევროპის ჩემპიონატის ფინალი მან ჩააგდო! ვფიქრობთ, მას შეეძლო პირველ ტაიმში **ჟერარდ პიკესთვის** არ მიეცა ყვითელი ბარათი, რადგან კასანოსთან ორთაბრძოლაში ესპანელმა ბურთზე ითამაშა. მაგრამ გაცილებით დიდი შეცდომა მან მეორე ტაიმის დასაწყისში დაუშვა როცა **რამოსი** ურტყამდა, **ბონუჩი** აშკარად ხელით თამაშობდა. 100%-იანი პენალტი რომ დანიშნულიყო, ფინალი უკვე 50-ე წუთზე დაკარგავდა ინტრიგას. უკვე, როცა იტალიის ნაკრები 10 კაცის ამარა თამაშობდა, **ბალძარეტიმ** აშკარად ხელი კრა სერხიო რამოსს, მაგრამ მსაჯის სასტვენი ისევ დუმდა.

» მე-10 გვერდზე



დავიდ სილვამ ანგარიში გახსნა






ეროვნული ბიბლიოთეკა


ლუბა გოლოვინა
ბატუტზე ხტომა



BP – საქართველოს მხარდასაჭერად

ჩვენ გვეამაყება, რომ ხელს ვუწყობთ საქართველოს სპორტსმენების წარმატებას 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში.
BP. ჩვენი წვლილი ქვეყნის წარმატებაში

bp

ოფიციალური პარტნიორი

უცხოური ფეხბურთი



ტიაგო მოტას ტრავმამ იტალია უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა

# თბილისში შეხვედრამდე

« მე-8 გვერდიდან

**მწვრთნელების დუელი**

ვისენტე დელ ბოსკემ პირწმინდად მოუგო დუელი ჩეზარე პრანდელის. პრანდელი ნაწილობრივ დამნაშავეც კი არის, რომ იტალიამ ბოლო ნახევარი საათით 10 კაცით ითამაშა, რადგან მეორე და მესამე ცვლილებები ძალიან ადრე გააკეთა. მაშინ, როცა ტრავმის გამო გუნდმა უკვე პირველ წუთებში დაკარგა ფეხბურთელი, ბოლო ცვლილების 56-ე წუთზე გაკეთება დანაშაულის ტოლფასია. თუკი ესპანეთის ნაკრებმა 4 ბურთის სხვაობით მოიგო, მწვრთნელთა დუელში უფრო დიდი სხვაობა დაფიქსირდა.

**ანალიზი**

თამაში გავყოთ ეპიზოდებად, დასაწყისზე უკვე მოგითხრეთ „ტაქტიკა/სტრატეგიის“ ქვეთავში, რა გამოვიდა აქედან? ესპანეთმა ისევე მოიპოვა ბურთი, როგორც სხვა მეტოქეებთან მატჩში. ამასთან გუნდი უფრო შემტევი ვექტორებით ასრულებდა ტრადიციულ „ტიკი ტაკას“. ვფიქრობთ, აქ დაიმსხვრა ტურნირის განმავლობაში შეძენილი იტალიური თავდაჯერება. „ფურია როხამ“ „სკუადრა აძურა“ ფსიქოლოგიურად შეაშინა - აჩვენა, რომ ის ისევ ის ესპანეთია, რომლისაც უნდა გეშინოდეს. გოლი კი ასე დაიბადა - მე-14 წუთზე ბურთი **ალვარო არბელოამ** მიიღო, გადააწოდა ჩავის, რომელმაც ინიესტა მოძებნა, ანდრესმა ფაბრეგასის მოძრაობა დაინახა მარჯვენა ფლანგზე, ბარსელონელმა იოლად აჯობა მეტოქის მცველს და ჩააწოდა, საჯარიმოში კართან ახლოს მყოფმა ტანდაბალმა დავიდ სილვამ **ბუფონის** კარი დალაშქრა.

რაც ამის შემდეგ მოხდა, იშვიათი ხილია, როცა „ფურია როხა“ თამაშობს. იტალიამ „ბრჭყალები გამოაჩინა“, თანაც როგორი! მართალია, 100%-იანი საგოლე მომენტები არ შექმნილა, მაგრამ იკერ კასილიასის კართან „ჩამოცხა“, დელ ბოსკეს გუნდი უხეშობაზეც კი გადავიდა! ესპანელებმა კი ბურთზე კონტროლი დაკარგეს. ეს გაგრძელდა, სადღაც 15-20 წუთი.

შემდეგ კი ისევ „ტიკი ტაკამ“ იმარჯვა, რომლის მეორე ფაზასაც მეორე გოლი მოჰყვა ბუფონის კარში. „აძურა“ ახლა მეორე ფლანგიდან გაირღვა, ჩავის გენიალურმა პასმა **ხორდი ალბას** ოქროს შანსი მისცა და „ვალენსიადან“ „ბარსელონაში“ 14 მილიონ ევროდ გადაბარგებულმა მცველმაც ეს შანსი ბრწყინვალედ გამოიყენა, მეკარესთან პირისპირ გასულმა ჯიჯის შანსი არ დაუტოვა - 2:0.

ღირსშესანიშნავი მომენტი იყო, როცა კასილიასმა **დი ნატალეს** ახლოდან დარტყმული ბურთი აუღო. იმ პერიოდშიც იტალია სჯობდა ესპანეთს.

თამაშის დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე კი ახლადშემოსულმა **ტიაგო მოტამ** კუნთი გაიწყვიტა და იტალია 10 კაცის ამარა დარჩა...

**ოქროს ბუცი**

**ფერნანდო ტორესი (ესპანეთი)**

„ელ ნინიომ“ ბოლო 15 წუთი ითამაშა და გოლი და საგოლე პასი მიითვალა, სწორედ ბოლო საგოლე პასმა **ფერნანდო ტორესს** „ადიდასის ოქროს ბუცი“ დაუბევა, როგორც ჩემპიონატის ბომბარდირს. ტორესის ანგარიშზე 3 გოლია, ისევე როგორც კიდევ ხუთი მისი კონკურენტის ანგარიშზე, მაგრამ საგოლე პასი მხოლოდ მას და **მარიო გომესს** აქვთ გაკეთებული. საქმე წუთებზე მივიდა, ტორესმა კი გერმანელზე მთელი საათით ნაკლები ითამაშა და პრიზიც მისია.

**დასკვნა**

ალალი და უსაყვედურო - „ფურია როხას“ გამარჯვება - ამ ტურნირზე ესპანეთის ნაკრების ტოლ-სწორი გუნდი უბრალოდ არ იყო, ამიტომაც კიდევ 4 წელიწადი ევროპის ჩემპიონი ეს გუნდია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ფერნანდო ტორესი ბომბარდირი გახდა

● ლა ლიგა. ტრანსფერები

# ვალენსია ივსება და იცლება

## მეჰმეთის თამამი ნაბიჯი

თურქმა ნახევარმცველმა **მეჰმეთ თოპალმა**, „ვალენსიაში“ გატარებული ორი სეზონის შემდეგ სამშობლოს მიაშურა. 26 წლის თოპალი სტამბოლურ „ფენერბაჰჩეში“ გადავიდა, სადაც ყოველწლიურად 2 მილიონ ევროს მიიღებს. ფეხბურთელმა თურქულ გრანდთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, „ვალენსიამ“ კი „ფენერბაჰჩესგან“ 4,5 მილიონი ევრო მიიღო. „ფენერმა“ **ემრე ბელოზოგლუ** დაკარგა, რომელიც თავისუფალი აგენტის სტატუსით „ატლეტიკომ“ აიყვანა, ამიტომაც შუახაზში ახალ სისხლს ეძებდა. ასე მოხვდა თოფალი, „გალათასარაის“ ყოფილი ფეხბურთელი მოსისხლე სტამბოლურ ბანაკში.

*„ვალენსიაში“ მეჰმეთ თოპალი ყოველთვის ვერ ახერხებდა შუახაზში კონკურენციის დაძლევას და თამაშს. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მან სიტუაციის შეცვლა: „ძალიან გახარებული ვარ. „ფენერბაჰჩე“ უდიდესი კლუბია და მიხარია, რომ მისი წევრი გავხდი. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს მაისურა დავიმსახურო, „ფენერის“ ფანებს ვაჩვენო, რას წარმოვადგენ. ვიბრძოლებ, რათა ფანების საყვარელი ფეხბურთელი გავხდე“,* - განაცხადა მეჰმეთ თოპალმა.

მეჰმეთ თოპალი „მალატიას“ აღზრდილია, „გალათასარაიში“ კი 2006 წელს, 20 წლისა გადავიდა „დარდანელიდან“. „ვალენსიაში“ ის 5,5 მილიონ ევროდ მოხვდა და ესპანურ კლუბში 43 თამაშში 2 გოლი გაიტანა. თურქეთის ნაკრებში თოპალმა 28 თამაში ჩაატარა და ევრო 2008-ის ნახევარფინალშიც ითამაშა.

### ფლორო ფლორესი ლა ლიგაში ითამაშებს

დღეს „გრანადა“ ორ ფეხბურთელს წარადგენს, ანდალუსიელებმა „უდინეზედან“ იჯარით **გაბრიელ ტორხე** და **ანტონიო ფლორო ფლორესი** აიყვანეს. ტორხე 22 წლის შემტევი ნახევარმცველია. რუმინელის სავარაუდო ტრანსფერზე ვწერდით კიდევაც. ფლორო ფლორესი 29 წლის იტალიელი ფოვარდია, რომლის კარიერაც მშობლიურ ნეაპოლში დაიწყო. ამასობაში, „გრანადამ“ **იოან მოლო** „ნანსიში“ გაუშვა, სადაც იანვრიდან ისედაც თამაშობდა იჯარის წესით.

ამასობაში „ლევანტემ“ 3-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა შემტევ ნახევარმცველ **მიჩელს**. 23 წლის მიჩელი „ერკულესში“ თამაშობდა, სადაც 39 მატჩში 13 გოლი გაიტანა. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მიჩელს ლა ლიგაში თამაშის გამოცდილება აქვს („დეპორტივო“ და „ვალენსია“).

### კეიტაც ჩინეთში?

ბოლო დროს „მოდაშია“ ვეტერან ფეხბურთელთა ჩინეთში გადაბარგება. არ გამოვრიცხავთ, რომ ჩინურმა ფეხბურთმა შევსება „ბარსელონადანაც“ მიიღოს - რამდენიმე აზიური წყარო ჯიუტად ამტკიცებს, რომ **სეიდუ კეიტა** მოლაპარაკებებს „დალიან აერბინთან“ მართავს. სანამ შვებულებაში გავიდოდა, კეიტა ამტკიცებდა, რომ „ბარსელონაში“ სურდა დარჩენა, შვებულებაში გასვლის მერე მისგან არაფერი ისმის. ხელშეკრულების თანახმად, თუ მალელი მატჩების 50%-ს არ დაიწყებდა სასტარტოში, მას უფლება აქვს წასვლის. კეიტას კი 50% ვერ დაუგროვდა.



მეჰმეთ თოპალი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ბოლო დღეებში ლა ლიგაში განხორციელებული ტრანსფერები**

| თარიღი | ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 25 ივნისი | პაულო და სილვა (პარ) | სარაგოსა | პაჩუკა | თავ. აგენტი |
| 26 ივნისი | ბრუნო სალტორი | ვალენსია | ბრაიტონი | თავ. აგენტი |
| 26 ივნისი | ისმაელ ლოპესი | ლუგო | ბილბაო | თავ. აგენტი |
| 26 ივნისი | ანტონიო ლოპესი | ატლეტიკო | მალიორკა | თავ. აგენტი |
| 26 ივნისი | მიჩელი | ერკულესი | ლევანტე | თავ. აგენტი |
| 26 ივნისი | არიც ადურისი | ვალენსია | ბილბაო | 2 მლნ. ევრო |
| 26 ივნისი | ალვარო დომინგესი | ატლეტიკო | გლადბახი | 8 მლნ. |
| 27 ივნისი | ხუან ანხელ რომანი | სიტი | ბარსელონა ბ | თავ. აგენტი |
| 27 ივნისი | ტონიო | რასინგი | გრანადა | თავ. აგენტი |
| 27 ივნისი | ფლორო ფლორესი (იტა) | უდინეზე | გრანადა | იჯარა |
| 27 ივნისი | ტიბო კურტუა (ბელ) | ჩელსი | ატლეტიკო | იჯარა |
| 28 ივნისი | ხორდი ალბა | ვალენსია | ბარსელონა | 14 მლნ. |
| 28 ივნისი | ალეხანდრო არიბასი | რაიო | ოსასუნა | თავ. აგენტი |
| 28 ივნისი | ხავი ვარასი | სევილია | სელტა | იჯარა |
| 29 ივნისი | მეჰმეთ თოპალი | ვალენსია | ფენერბაჰჩე | 4,5 მლნ. |
| 30 ივნისი | ფრედერიკ კანუტე (მალი) | სევილია | ბეიჯინგი | თავ. აგენტი |
| 1 ივლისი | ალექსის რუანო | სევილია | ხეტაფე | იჯარა |
| 1 ივლისი | პედრო ლეონი | რეალი | ხეტაფე | იჯარა |

● ამბები

### ლემპარდს აშშ-ში ელიან

"ლოს ანჯელეს გალაქსი" მზადაა, "ჩელსისთან" მოლაპარაკებები დაიწყოს და მისი 34 წლის ვარსკვლავი **ფრენკ ლემპარდი** გადაიბიროს. "ლურჯების" ვიცე-კაპიტანს ამჟამინდელი ხელშეკრულება სეზონის ბოლოს უმთავრდება. კვირაში მისი ანაზღაურება 130 ათასი ფუნტია. ლონდონელებს ფეხბურთელის ასაკის მატებასთან ერთად მისი ეფექტურობის კლება ანაღვლებთ და შესაბამისად, ხელფასის შემცირება სურთ. გაითვალისწინეთ, რომ "ლურჯები" სწორედ ლემპარდის პოზიციის ფეხბურთელს ეძებენ. მაგალითად მოლაპარაკებებს აწარმოებენ **ლუკა მოდრიჩის** ტრანსფერთან დაკავშირებით. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ თუკი ტოტენჰემელთან გარიგება შედგა, ლემპარდი ლოს ანჯელესს ამ ზაფხულზევე მიაშურებს.

### უილშირი სეზონის სტარტს გამოტოვებს

"არსენალის" 21 წლის ცენტრალური ნახევარმცველი **ჯეკ უილშირი** მოედანს 2011 წლის ივლისის მერე არ გაკარებია და ახლა გაირკვა, რომ ის მოედანს სექტემბრის შუა რიცხვებამდე ვერც დაუბრუნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ უილშირი პრემიერლიგის პირველ ტურებში ვერ ითამაშებს. შესაბამისად, მას ვერც **როი ჰოჯსონი** მიიწვევს ნაკრების შეკრებაზე მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის (7 სექტემბერს მოლდოვის, 11 სექტემბერს უკრაინის წინააღმდეგ). ეროვნული გუნდის თავკაცის მხრიდან ეს უფრო სიმბოლური ქმედება იქნებოდა, რადგან ყველასთვის ცხადია, რომ ლაზარეთში 12 თვეზე მეტის გატარების შემდეგ სანაკრებო ფორმაში შესასვლელად უილშირს ჯერ კიდევ დიდი დრო დასჭირდება.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ბრიტანეთის ნაკრები

# მინუს უელსელს პლუს უელსელი



გარეთ ბეილი

მასშემდეგ, რაც 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადისთვის ბრიტანეთის საფეხბურთო ნაკრების ჩამოყალიბებაზე წავიდა ლაპარაკი, **გარეთ ბეილი** ამ გუნდის შემადგენლობაში ყოველთვის მოიაზრებოდა. Press Association Sport–ის ცნობით, 22 წლის უელსელს მარჯვენა ფეხზე ბარძაყის ტრავმის რეციდივი აქვს, რაც, მოგეხსენებათ, საკმაოდ საშიშია. როდის მოახერხებს ფეხბურთელი მოედანზე დაბრუნებას, ამ ეტაპზე უცნობია. არადა, ბეილის აგენტის თქმით, "ტოტენჰემთან" ახალი 4-წლიანი კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ მისი კლიენტი ძალიან ბედნიერი იყო და ლონდონის თამაშებზეც აღტაცებული ლაპარაკობდა. აღსანიშნავია, რომ ინიციატივა თავდაპირველად ფეხბურთელისგან მოდიოდა. ის პირველი არაინგლისელი გახლდათ, რომელმაც საჯაროდ დააფიქსირა, რომ ბრიტანეთის ნაკრების ღირსებას სიამოვნებით დაიცავდა. მან ერთ-ერთ პირველ ფოტოსესიაშიც მიიღო მონაწილეობა, რამაც უელსის ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსანთა რისხვა გამოიწვია. შედარებით ინდიფერენტულები იყვნენ ამ საკითხის მიმართ რიგითი უელსელი ფანები. ვინ შეცვლის უელსელ მარცხენაფლანგელს ჯერჯერობით უცნობია. ოლიმპიადის გარდა ბეილმა შესაძლოა "ტოტენჰემის" წინასასეზონო შეკრების დიდი ნაწილიც გამოტოვოს და პრემიერლიგის I ტურიც 18 აგვისტოს "ნიუკასლის" წინააღმდეგ.

ბრიტანეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **სტიუარტ პირსს** საბოლოო შემადგენლობის დასახელება დღეისთვის აქვს გადაწყვეტილი. 18-კაციან განაცხადში მხოლოდ მას მხოლოდ 3 ფეხბურთელის შეყვანის უფლება აქვს, რომელთა ასაკი 23-ს აღემატება. მათი ვინაობა უკვე ცნობილია – **რაიან გიგზი, კრეიგ ბელამი** და **მიკა რიჩარდსი**. გიგზის თქმით მას ძალიან გაუხარდა პირსის ნდობა, მაგრამ ამასთან გული სწყდება, რომ **დევიდ ბექჰემის** გვერდით თამაშის საშუალება არ მიეცემა. მათ გვერდიგვერდ უკანასკნელად 2003 წლის მაისში "მანჩესტერ იუნაიტედის" რიგებში ისპარეზეს. *"რა თქმა უნდა, დევიდის გამო გული მწყდება. ის ხომ ჩემი ყოფილი თანაგუნდელი და კარგი მეგობარია. ვიცი, მისთვის რასაც ნიშნავდა ეს უარი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ის ამ დარტყმასაც გადაიტანს. გუნდის დაკომპლექტება მხოლოდ პირსის გადასაწყვეტია. ის არჩევს მოთამაშეებს და ფიქრობს, რომ მათთან ერთად წარმატების მიღწევის მეტი შანსი ექნება. სამწუხაროდ, მათ შორის დევიდის ადგილი არ მოინახა. არადა, როგორ მინდოდა, რომ განაცხადში მოხვედრილიყო... მოუთმენლად ველოდები ასეთი მასშტაბის ტურნირის დაწყებას. დარწმუნებული ვარ, რომ ის ბიჭები, ვისაც პირსი შეარჩევს, მთელი ძალებით შეეცდებიან, რომ გუნდს ოქროს მედალი მოუტანონ"* - განაცხადა გიგზმა BBC-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. გერმანიის ტურნირი

# ბოლო სარეპეტიციო სტარტი

## გერმანული პრიზის ქართველი ლაურეატები

**საქართველოს ბერძენ-რომაელთა ნაკრებმა არცთუ ცუდად იჭიდავა საოლიმპიადო მზადების ფარგლებში ბოლო სასტარტო ტურნირზე - ამ უქმეებზე დორტმუნდში ჩატარებულ „გერმანიის დიდ პრიზზე". ჩვენი ოლიმპიური გუნდი იქ სრული შემადგენლობით გაემგზავრა - ექვსივე ლიცენზირებულმა ფალავანმა იასპარეზა, რომელთაგანაც ოთხმა მედალი მოიპოვა - თითო ოქრო-ვერცხლი და ორი ბრინჯაო. ჩემპიონი რევაზ ლაშხი (60) გახდა, ზედა წონაში - 74-ში მოასპარეზე მანუჩარ ცხადაია მეორეზე გავიდა, ვლადიმერ გეგეშიძე (84) და სოსო ჯაბიძე (96) - მესამეზე. ჩვენი გუნდის სხვა წევრებიდან ზურაბ დათუნაშვილი (74) მეცხრე ადგილზე დარჩა, გურამ ფერსელიძე (120) - მეშვიდეზე.**

ექვსი შესაძლებლიდან ოთხი მედალი ცუდი შედეგი არაა, მაგრამ აღმატებულ შეფასებას იმ მიზეზით ვერიდებით, რომ ტურნირი არ იყო მაინცდამაინც ძლიერი, რაც კარს მომდგარი ოლიმპიადის წინ გასაგებია - სპორტსმენთა უმეტესობა საგანგებოდ, ინდივიდუალურად ემზადება. თან ჩვენებმა რამდენჯერმე საშუალო დონის ფალავნებთან წააგეს, თუმცა ვერც ამისთვის დავძრახავთ - ეს სასტარტო შეჯიბრება იყო, სადაც შედეგზე ბევრად მნიშვნელოვანი სატურნირო პრაქტიკის მიღება იყო. არც ისაა გამორიცხული, ჩვენებმა შესაძლებლობები ბოლომდე არ გამოავლინეს ანუ ზედ ოლიმპიადის წინ არ გაიშიფრნენ. ერთი სიტყვით, ამ შეჯიბრების ერთადერთი დანიშნულება სტარტი იყო, რაც სრულად შეასრულა, ხოლო ჩვენებურთა ასეთი სტაბილური გამოსვლა სწორი გზის მანიშნებელია. ალბათ, ნაკრების მწვრთნელ **ბეგი დარჩიას** გული დათუნაშვილისა და ფერსელიძის ადრე გამოვარდნაზე დაწყდება - ისინი ვერც სანუგეშოში გადავიდნენ ანუ ბევრი შეხვედრა ვერ ჩაატარეს.

აი, ამ თვალსაზრისით ლაშხმა სხვებზე მეტად იყოჩაღა - ხუთი ორთაბრძოლა გამართა. მან პირველ წრეში ხორვატი **ივან ლიზატოვიჩი** დაამარცხა, მერე კი მისთვის საინტერესო სკოლის - სამხრეთ კორეის წარმომადგენელს შეხვდა. ოლიმპიადაზე ქართველის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო მეტოქე იქაურია - ათენის ოლიმპიადის ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი **ჯი-ჰიუნ იუნგი**, რომელმაც ლაშხს 2010-2011 წლების მსოფლიოს პირველობებზე მოუგო. ოღონდ დორტმუნდში არა მან, არამედ **ეუნ ბიმ კიმიმ** იჭიდავა. ვერ გეტყვით, რომელს დააყენებენ კორეელები ოლიმპიადაზე, მაგრამ კიმთან ლაშხმა იმარჯვა, მერე გერმანელი **კრისტოფ ბასტი** და ფინელი ევროპის ჩემპიონი **იარკო ალა-ჰუიკუც** დაამარცხა, ფინალში კი აზერბაიჯანელ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, ევროპის ორგზის გამარჯვებულსა და პეკინის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან **როვშან ბაირამოვს** აჯობა. თუმცა ბაირამოვი 55-ის მოჭიდავეა, ამ წონაში კი ლაშხის კიდევ ერთი უსერიოზულესი კონკურენტი აზერბაიჯანიდან ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **ჰასან ალიევია**, რომელიც ამჯერად 66-ში გამოვიდა და ფინალი წააგო. სხვათა შორის, ლაშხმა მას დორტმუნდში შარშან მოუგო, როცა ევროპის ჩემპიონი გახდა - ნახევარფინალში დაჯაბნა და მისი ლამის სამწლიანი წაუგებელი სვლა შეაჩერა.

ერთი სიტყვით, დორტმუნდი ლაშხისთვის ბედნიერი ქალაქია. იმის მიუხედავად, რომ მთავარ კონკურენტებს ამჯერად არ შეხვედრია, მაინც ფრიად დატვირთული ბადე გაიარა და ძლიერ მეტოქეებს აჯობა. ცხადია, ეს ოლიმპიადაზე წარმატების გარანტია არაა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ფაქტია.

ცხადაიას მწვრთნელებმა წონა არ დააკლებინეს, რადგან ერთ თვეში ეს ისედაც მოუწევს საოლიმპიადოდ და ამჯერად 74-ში აჭიდავეს. ფინალამდე მან არცთუ ძლიერ ფალავნებს მოუგო - ბელარუს **იაუჰენ ბაჩკოს**, კორეელ **ნეულ პუ სან ჯეონს** და ჩეხ **ტომაშ სობეცკის**, ფინალი კი ხორვატ **ბოზო სტარჩევიჩთან** დათმო. დათუნაშვილმა ერთი შეხვედრა მოიგო - გერმანელ **დამიან ჰარტმანთან**, მერე კი ფინელ **ვალტერ მოისიოსთან** წააგო და რაკი მომდევნო წრეში ისიც დამარცხდა ზემოხსენებულ ხორვატ სტარჩევთან, ჩვენებური სანუგეშო წრეში ვერ გადავიდა.

გეგეშიძემ მედლის გარდა ერთი ხმაურიანი მოგებაც მიითვალა - პირველივე შეხვედრაში ბელარუსი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ალიმ სელიმაუ** დაამარცხა. ამის შემდეგ ცოტა მოულოდნელი იყო წაგება შვედ **კრისტოფერ იოჰანსონთან** - ის მოგვიანებით ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ არაა ძლიერი ფალავანი. გეგეშიძემ სანუგეშოში ორი შეხვედრა მოიგო - ესტონელ **ერიკ აპსთან**, რომელმაც წლევანდელ ევროპირველობაზე ბრინჯაოსთვის იჭიდავა, და პოლონელ **თადეუშ მიჰალიკთან**.

მედლამდე სანუგეშო წრის გავლით მივიდა ჯაბიძეც - პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი ესეც მომავალ ჩემპიონთან და კვლავაც არცთუ ძლიერ შვედთან დამარცხდა - **ფრედრიკ შოენთან**. ამ შვედმა ფინალში ერთ დროს ლეგენდარული, ახლა კი წარსულის აჩრდილად დარჩენილი ეგვიპტელი ოლიმპიური ჩემპიონი **კარამ მოჰამედ გაბერ იბრაგიმი** დაამარცხა. „ეგვიპტელმა მუმიამ" ლონდონის ოლიმპიადის საგზური კი მოიპოვა, ოღონდ - 84-ში, რადგან აქაური ადგილი დაკავებული დახვდა მსოფლიოს ჩემპიონ **აბდელ ფათაჰისგან**, თუმცა ამჯერად წონა არც მან დაიკლო. რაც შეეხება ჯაბიძეს, მას სანუგეშოში მხოლოდ ერთი მეტოქე ჰყავდა - პოლონელი **რადოსლავ გრზიბიცკი**, რომელსაც იოლად აჯობა.

მძიმე წონაში ფერსელიძე პირველივე შეხვედრაში დამარცხდა გამოცდილ გერმანელ **ნიკო შმიდტთან** და გამოვარდა, რადგან ფინალში ვერც გერმანელი გავიდა.

დორტმუნდიდან ჩვენი ოლიმპიური ექვსეული დღესვე გაემგზავრება მინსკში, სადაც ერთობლივ წვრთნებს გაივლის. არაა გამორიცხული, მათ საოლიმპიადოდ დასკვნითი შეკრებაც იქ მოაწყონ.



რევაზ ლაშხი

**ირაკლი თავაძე**

წყალბურთი




# მესამედაც - მასპინძლებს!

**სანწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" მესამედ გაიმართა წყალბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი „თბილისის თასზე" და, ისევე როგორც წინა ორ შეჯიბრებაში, მთავარი პრიზი ამჯერადაც მასპინძლებმა მოიპოვეს. სასტარტო შეხვედრების შესახებ უკვე გაუწყეთ. მეორე ტურში ჩვენი ქვეყნის პირველი ნაკრები ბელარუსს დაუპირისპირდა და ტურნირის გამარჯვებულის ვინაობაც, ფაქტობრივად, აქ გამოვლინდა.**

### საქართველო (1)-ბელარუსი 15:10

3:2, 4:3, 3:2, 5:3

**საქართველო (1):** ჭუმბურიძე, ყაზახიშვილი (3), ცრეპულია (2), იმნაიშვილი, ლაითაძე (1), ბითაძე (1), ხვედელიანი (1), იელაჩა (3), ქენქაძე, ელეზი (2), ნიკოლეიშვილი, ფრანიჩევიჩი (2), კაპანაძე, მთავარი მწვრთნელი დავითიანი.

**ბელარუსი:** არხიპაუ, ფედარუკი, კარაცევიჩი, ხარლაპი (1), მანუჯი (1), მიჰუცკი, ივანოვი (2), შალამიტსკი (1), ბიჩკოვი (3), ჩუპრინა (1), ჩარბაშანი (1), ციპლიაცინი, ვანკევიჩი, მთავარი მწვრთნელი ფრალოვი.

ზვიად დავითიანის განკარგულებაში 19 წყალბურთელი იყო. ბელარუსებთან მატჩშიც, რომელიც, ფაქტობრივად, პირველობისთვის გადამწყვეტ პაექრობაშიც, გამოცდილებთან ერთად სამი ახალბედა გამოიყვანა: 17 წლის **ალექსანდრე ყაზახიშვილი,** რომელიც ამ შეხვედრაში 3 გოლით გამოირჩა, ცნობილი წყალბურთელის **ალექსანდრე ბითაძის** 15 წლის ვაჟი **ანდრია ბითაძე** და საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ყოფილი წევრის - **რევაზ ოჩიგავას** შვილიშვილი **რევაზ იმნაიშვილი** (15 წელი 9 აგვისტოს შეუსრულდება). ყველაზე საგულისხმო და მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იმნაიშვილს ამ ტურნირზე ეროვნული ნაკრების კაპიტნობა ანდო.

- ორი წელიწადია, ახალგაზრდულ ნაკრებში რეზოს ვაკვირდები. ზრდილი, მონდომებული და ნიჭიერი სპორტსმენია. ლიდერის თვისებებით გამოირჩევა. ამიტომაც ვანდე კაპიტნობა. მესმის, რომ ქართული სინამდვილისთვის უჩვეულოა, მაგრამ მჯერა, დიდი გუნდის დიდ კაპიტნად გაიზრდება. ნიჭიერი ახალგაზრდები მოდიან. სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში ისინი საერთაშორისო სარბიელზე თავის სათქმელს იტყვიან. ამჯერად ეროვნულ ნაკრებში მხოლოდ სამ მათგანს ვუხმე, რადგან მეტი ადგილი არ რჩებოდა. სხვებიც მალე მოვლენ. ცოტა დრო საჭირო, - მითხრა ზვიად დავითიანმა.

**- ნატურალიზებულ წყალბურთელებზე რას იტყვით?**

- თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ევროპის საკლუბო გუნდებმა, ფაქტობრივად, ერთი თვის წინათ დაასრულეს შეჯიბრებები და ამ ბიჭებს ამ ხნის განმავლობაში არ უვარჯიშიათ, აუგს ნამდვილად ვერ ვიტყვი. საბოლოოდ არ იყო გადაწყვეტილი, თბილისის საერთაშორისო ტურნირს ჩავატარებდით თუ არა, ამიტომაც იელაჩა, ელეზი, ფრანიჩევიჩი და ცრეპულია დაძაბული სეზონის შემდეგ ისვენებდნენ. ჩვენი ნაკრებისთვის ოთხივე წყალბურთელი დიდი ძალაა. მათ გვერდით მომავალი თაობა გაიზრდება. ასე რომ, ამ ეტაპზე ნაკრების თამაშით კმაყოფილი ვარ...

ახლა კი, ბელარუსთან თამაშს დავუბრუნდეთ. ანგარიში მე-2 წუთზე სტუმრებმა (ჩაბრაშანი) გახსნეს, თუმცა მალევე ცრეპულიამ წონასწორობა აღადგინა. ამის შემდეგ უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ და საფინალო სირენამდე ხელიდან არ გაუშვიათ. ბოლო პერიოდში დავითიანმა ახალგაზრდებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება. როგორც ვთქვით, ყაზახიშვილმა 3 გოლი გაიტანა, ერთხელ ბითაძემაც იყოჩაღა.

### პოლონეთი-საქართველო (2) 10:13

2:2, 3:3, 1:3, 4:5

**პოლონეთი:** ულჩურსკი, ბაკულო (4), ლავნიჩაკი, ლუჩაკი (4), პიატეკი, მიშალსკი, ბარი, სეკულა (2), ვალკოვიაკი, ლესჩეკი, ტუროვსკი. მთავარი მწვრთნელი სერვინი.

**საქართველო (2):** შუბლაძე, ჩიქვინიძე (3), ხარჩილაძე (1), ჯახაია (2), ცანკაშვილი (2), გიორგაძე (1), ქართველიშვილი, კაკულია (1), ურუშაძე (1), სულაძე, გეგელაშვილი (2), ჩიკვაიძე, ფავლენიშვილი, მთავარი მწვრთნელი ჩომახიძე.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრებით დაკომპლექტებული ჩვენი მეორე გუნდი პირველ პერიოდში ორჯერ დაწინაურდა, მაგრამ პოლონელებმა მალევე აღადგინეს წონასწორობა. მე-2 რვაწუთიანი მონაკვეთშიც თანაბარი ორთაბრძოლა იყო, მესამეში კი მასპინძლებმა შეძლეს შეხვედრაში გარდატეხის შეტანა და სამი ბურთის სხვაობით დაწინაურდნენ. საბოლოოდ გამარჯვებაც მათ დარჩათ - 13:10.

### საქართველო (1)-პოლონეთი 9:6

2:1, 1:0, 3:2, 3:3

**საქართველო (1):** ნამორაძე, ყაზახიშვილი, ცრეპულია (1), იმნაიშვილი, ლაითაძე (1), ბითაძე, ხვედელიანი (2), იელაჩა (1), რუსიშვილი, ელეზი (1), ნიკოლეიშვილი, ფრანიჩევიჩი (3), კაპანაძე, მთავარი მწვრთნელი დავითიანი.

**პოლონეთი:** ულჩურსკი, ბაკულო (3), ლავნიჩაკი, ლუჩაკი, პიატეკი (1), მიშალსკი, ბარი (1), სეკულა, ვალკოვიაკი, ლესჩეკი (1), ტუროვსკი, მთავარი მწვრთნელი სერვინი.

საქართველოს პირველ ნაკრებს ტურნირის აუტსაიდერის დასამარცხებლად დიდი ჯაფა არ დასდგომია. პირველი პერიოდიდანვე, რაც გოლი გაიტანეს, ხელთ ეპყრათ მატჩის სადავეები. ამ პაექრობაში ახალბედებს თამაშის მეტი საშუალებაც მიეცათ. ეროვნულმა გუნდმა მესამე გამარჯვებაც მოიპოვა და მთავარი პრიზიც შეინარჩუნა.

### ბელარუსი-საქართველო (2) 12:6

2:4, 1:2, 4:0, 5:0

**ბელარუსი:** არხიპაუ, ფედარუკი, კარაცევიჩი, ხარლაპი (4), მანუჯი (1), მიჰუტსკი (1), ივანოვი, შალამიტსკი, ბიჩკოვი (4), ჩუპრინა (1), ჩაბაშანი, ციპლიაცინი (1), ვანკევიჩი, მთავარი მწვრთნელი ფრალოვი.

**საქართველო:** შუბლაძე, ჩიქვინიძე (2), ქარჩილაძე (1), ჯახაია, ცანკაშვილი, გიორგაძე, ქართველიშვილი, კაკულია, ურუშაძე (1), სულაძე, გეგელაშვილი (1), ჩიკვაიძე (1), ფავლენიშვილი, მთავარი მწვრთნელი ჩომახიძე.

ამ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა მეორე-მესამე ადგილების ბედი, რადგან ორივე გუნდს 3-3 ქულა ჰქონდა. მასპინძლებმა აგრესიულად დაიწყეს ორთაბრძოლა და მე-4 წუთზე უკვე 2:0-ს იგებდნენ. სტუმრებმა ერთ წუთში შეძლეს თანაფარდობის აღდგენა - 2:2, თუმცა პერიოდის ბოლომდე ჩომახიძის შეგირდები ისევ ორი ბურთის სხვაობით დაწინაურდნენ. მე-2 რვაწუთიანი მონაკვეთიც ჩვენებმა მოიგეს. აი, შესვენების შემდეგ კი სტუმრებს ნამდვილად ვერ იცნობდით: 16 წუთის განმავლობაში მათ ჩვენს კარში 9 უპასუხო გოლი გაიტანეს და 12:6 გაიმარჯვეს, მოაგროვეს 6 ქულა და მე- 2 ადგილიც დაიკავეს. 3 ქულით მესამეზე საქართველოს მე-2 ნაკრები გავიდა. ბოლო ადგილი პოლონელებს ერგოთ, რომლებმაც სამივე პაექრობა დათმეს.

**ვაჟა დანელია**

ფარიკაობა. საერთაშორისო ტურნირი

# მუშკეტერების ბათუმური კვეთება

ბათუმმა მეხუთედ უმასპინძლა ფარიკაობაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის - ზაურ თავაძის საერთაშორისო ტურნირს ჭაბუკებში.

ბათუმის სასპორტო სკოლისა და აჭარის ფარიკაობის ფედერაციის მხარდაჭერით ჩატარებულ შეჯიბრებაში თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის, რუსთავის, ზესტაფონის, ოზურგეთის, ირანის, რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის 114 გოგონა და ვაჟი იბრძოდა პირველობისთვის სამივე სახეობაში.

**მოხმალავეთა** პირველობა ქართველების უპირატესობით წარიმართა. გოგონათა ფინალში დედაქალაქელმა **ანა აფრასიძემ** ქუთაისელი **ანა სინატაშვილი** დაამარცხა - 15:12. ბრინჯაოს მედლები **მაია ფხაკაძესა** (თბილისი) და **ელენე ნანობაშვილს** (ქუთაისი) ერგოთ.

ვაჟებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. საბა სულამანიძე (თბილისი), 2. გელა მერკვილაძე, 3. ვაჟა რეჭია (ორივე - ქუთაისი) და ნოდარ შენგელია (თბილისი).

თანატოლთა შორის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა, თბილისელმა **ლუკა ლალანიძემ** (რაპირა) ბათუმის ტურნირშიც აშკარა უპირატესობით სძლია ყველას, მათ შორის, ფინალში ერევნელ **მაიკლ ოჰანესიანს** - 15:11 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ბრინჯაოს მედლებიც მის თანაგუნდელებს - **ლაშა გალვაშვილსა** და **გიორგი მელაშვილს** ხვდათ. გოგონებში ოქროს მედალი **კატერინა ციბიროვამ** (რუსეთი) დაისაკუთრა. გადამწყვეტი პაექრობა მან თბილისელ **თეონა გოგლიძეს** მოუგო. ბრინჯაოს მედლები **ოლგა ვავილოვამ** (რუსეთი) და **ანიტა აგაბაბიანმა** (სომხეთი) გაინაწილეს.

**დაშნა. გოგონები.** 1. აიბუკე ონანი (თურქეთი), 2. მარია საუმოვა (რუსეთი), 3. მარია ზაკირჩენკო, ანა ცირგვავა (ორივე - ქუთაისი). **ვაჟები.** 1. ირაკლი ფანცხავა (ქუთაისი), 2. ანდრანიკ კოჩარიანი (სომხეთი), 3. ავთანდილ სიმსივე (ქუთაისი), არმენ აზარიანი (სომხეთი).

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჭადრაკი

# ბაადურ ჯობავა ათეულისკენ მიიწევს

ფიდემ, ტრადიციულად, 2012 წლის 1 ივლისისთვის გამოაქვეყნა საუკეთესო მოჭადრაკეთა რეიტინგ-ლისტი.

ქალებს უწინდებურად უნგრელი იუდით პოლგარი (2709) უდგას სათავეში. მეორე ადგილზეა ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (2617). სასიამოვნოა, რომ ქართველმა დიდოსტატმა **ნანა ძაგნიძემ** (2547) რჩეულთა ათეულში შეინარჩუნა ადგილი. იგი მეექვსე პოზიციაზეა. ნანას, პოლგარისა და ჰოუ იფანის გარდა, სლოვენიელი ანა მუზიჩუკი (2606), ინდოელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ჰამფი კონერუ (2598) და გუნდურში ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი ჟაო სიუ (2556) უსწრებენ. მომდევნო ადგილებზე მოდიან: ორგზის ევროპის ჩემპიონი კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2537), 2012 წლის ევროპის ჩემპიონი ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 2533), კონტინენტის პირველობების ორგზის გამარჯვებული ტატიანა კოსინცევა (რუსეთი, 2530) და ევროპის ჩემპიონატის შარშანდელი გამარჯვებული ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2525).

ქართველთაგან საუკეთესო ასეულში არიან: 16. **ბელა ხოტენაშვილი** (2505), 31. **ნინო ხურციძე** (2456), 37. **ლელა ჯავახიშვილი** (2449), 45. **ნინო ბაციაშვილი** (2434), 63. **სალომე მელია** (2403), 66. **სოფიკო გურამიშვილი** (2400), 71. **სოფიკო ხუხაშვილი** (2391), 81. **თამარ წერეთელი** (2383), 82. **ნაზი პაიკიძე** (2381), 83. **მერი არაბიძე** (2379), 100. **მაია ლომინეიშვილი** (2360).

ვაჟთა ასეულს ისევ მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2837) ლიდერობს. პირველ ათეულში მომდევნო ადგილებზე არიან: ლევონ არონიანი (სომხეთი, 2816), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2799), ტეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი, 2788), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2780), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2779), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2778), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2775), ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი, 2770), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, 2769).

ქართველი დიდოსტატი ბაადურ ჯობავა პირველი მაისის რეიტინგით (2721) 25-ე იყო, განვლილ ორ თვეში ცხრა პუნქტით გაიუმჯობესა მდგომარეობა და 21-ე ადგილზე გადაინაცვლა. აი, **მიხეილ მჭედლიშვილის** სარეიტინგო პუნქტები (2656) უცვლელი დარჩა, მეტოქეებმა კი ქულები მოიმატეს და ჩვენებურმაც 101-ე ადგილზე ჩაიჩოჩა. ვაჟთაგან საუკეთესო ასეულში სხვა არავინ გვყავს.

20-წლამდელ გოგონებში მეხუთე-მეექვსე ადგილებს ნაზი პაიკიძე და მერი არაბიძე იყოფენ.

**ვაჟა დანელია**

# დღეიდან ასტანაში

ყაზახეთის დედაქალაქში დღეს დაიწყება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატები სწრაფ ჭადრაკსა (ყოველი პარტიისთვის 15-15 წუთი თითოეულ სვლაზე 10-10 წამის დამატებით) და ბლიცში (3 წუთს+2 წამი). 2-4 ივლისს ნახევარფინალში გადამწყვეტი ეტაპის 3-3 საგზურისთვის 30 მოჭადრაკე იბრძოლებს შვეიცარიული სისტემით, შესაბამისად, 9 და 11 ტურად. წინასწარ განაცხადში მოასპარეზეთა შორისაა თბილისელი დიდოსტატი **მერაბ გაგუნაშვილი.**

ორგანიზატორებმა ფინალში პერსონალურად მიიწვიეს მაგნუს კარლსენი (ნორვეგია), ტეიმურ რაჯაბოვი, შაჰრიარ მამედიაროვი (ორივე - აზერბაიჯანი), სერგეი კარიაკინი, ალექსანდრ მოროზევიჩი, ალექსანდრ გრიშჩუკი, პიოტრ სვიდლერი (ყველა - რუსეთი), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) და ბორის გელფანდი (ისრაელი).

**ვაჟა დანელია**

# ჩვენიანი ლიდერებში

ესპანეთში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი ორი ქართველი დიდოსტატის მონაწილეობით.

მე-6 ტურში ჩვენები მხოლოდ ნახევარნახევარ ქულას გამორჩნენ. **გიორგი მარგველაშვილი** მასპინძელ ლაზარო ლორენცოს დაუზავდა და 4,5 ქულით ლიდერთა ჯგუფში შეინარჩუნა ადგილი. **ლევან აროშიძე** ჩერნოგორიელ დიდოსტატ ქალბატონს - იოვანა ვოინოვიჩს შეუთანხმდა ყაიმზე და ექვსი შესაძლებლიდან 3,5 ქულას მოუყარა თავი.

ექვსი ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: როლანდო ალარგონი, იუნესკი ქესადა (ორივე - კუბა), ვლადიმირ ბურმაკინი (რუსეთი), დეიზი კორი (პერუ) - 5-5 ქულა. 9 მოჭადრაკეს, მათ შორის მარგველაშვილს, 4,5-4,5 ქულა აქვს.

**ვაჟა დანელია**

# ფინიშამდე ორი ტურით ადრე



ნიკოლოზ ქუმსიაშვილი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელშიც მედლებთან ერთად გოგონათა და ვაჟთა მსოფლიოს პირველობების საგზურებიც თამაშდება.

გუშინდელ მე-7 ტურში **ნანი უნაფქოშვილმა მარიამ ჭოლაძე** დაამარცხა და 6 ქულით ლიდერობა განიმტკიცა. დარჩენილ ორ ტურში მას ჩემპიონობისთვის, ფაქტობრივად, ნახევარი ქულაც ჰყოფნის. ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: **ანა შამათავა-დეა გოგიშვილი** 0:1, **ლიკა კობეშავიძე-ნატო იმნაძე** 1:0, **ანა კუჭავა-მარიამ ჯავახიშვილი** 1:0, **ნინო გუმბერიძე-თეა ჭოლაძე** 0,5:0,5, **ადა კაკუტია-მაია მუმლაძე** 1:0. გოგონებში 4,5-4,5 ქულით მეორე-მესამე ადგილებს კუჭავა და შამათავა ინაწილებენ. გოგიშვილს, კობეშავიძესა და ჭოლაძეს 4-4 ქულა აქვთ.

ვაჟებში ლიდერი შეიცვალა. გუშინ **დიმიტრი კვარაცხელიამ** შავი ფიგურებით პირველ ადგილზე მყოფ **ზურაბ ჯავახაძეს** აჯობა და **ნინო ხომერიკის** მძლეველ **ნიკოლოზ ქუმსიაშვილთან** ერთად დაწინაურდა. **გიორგი ნიკოლაშვილი ალექსანდრე ებრალიძეს** დაუზავდა. ლიდერთა ჯგუფის სხვა ორთაბრძოლებში თეთრებმა იმარჯვეს: **შალვა ნადირაშვილი-გიგლა ბენიძე** 1:0, **ლევან ბრეგაძე-გუგა ბურდული** 1:0,**ირაკლი ბერაძე-გიორგი ცხადაძე** 1:0, **ნიკა ლვამბერია-ირაკლი ჯანიაშვილი** 1:0. შვიდი ტურის შემდეგ: ქუმსიაშვილი, კვარაცხელია-5.5-5.5, ნადირაშვილი, ნიკოლაშვილი, ჯავახაძე-5-5, ბერაძე, ნ. ხომერიკი, ბრეგაძე, ებრალიძე, ლვამბერია-4.5-4.5

დღეს მე-8 ტურში ინტერესს იწვევს ლიდერთა შემდეგი ორთაბრძოლები: გოგიშვილი-უნაფქოშვილი, კუჭავა-კობეშავიძე, კაკუტია-შამათავა, მ. ჭოლაძე-თ. ჭოლაძე; კვარაცხელია-ქუმსიაშვილი, ნადირაშვილი-ნიკოლაშვილი, ბერაძე-ჯავახაძე, ხომერიკი-ბრაგაძე, ებრალიძე-ლვამბერია.

**ვაჟა დანელია**

● რაგბი. მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფი



# ხელიდან გაშვებული შანსი

**ამერიკულ სოლტ ლეიკ სიტიში დასრულდა მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის გათამაშება. შაბათს საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ახლოს იყო ალაფზე მესამე ადგილის დაკავებასთან, მაგრამ 12-ქულიანი უპირატესობა გაანიავა და საბოლოოდ 29:31 წააგო ტონგასთან. ჩვენი გუნდი B პულში მე-2 ადგილზე გავიდა, 2 მოგებით და 1 მარცხით (იაპონიასთან), ანალოგიური შედეგი ჰქონდათ ზღვისრეთელებს A პულში (მათ მასპინძლებთან წააგეს). ტონგამ მოგვიგო და ზედიზედ მესამედ აღარ მოგვაპოვებინა ბრინჯაოს მედლები ალაფზე.**

პირველ ტაიმში ორივე გუნდს ფიზიკურ ბრძოლაზე ჰქონდა აქცენტი. მე-6 წუთზე ტონგელმა **ამანაკი ლეაატოამ** საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში, მაგრამ 22-ე წუთზე **საბა ნიკოლავამ** საჯირო დარტყმითვე გაათანაბრა (მანამდე საბამ ერთი საჯარიმო ააცილა). ამის შემდეგ ჩვენების უპირატესობა გამოიკვეთა და მიძალების შემდეგ, 32-ე წუთზე **გიორგი თეთრაშვილმა** ლელო დადო - 10:3. ტაიმის ბოლოს კი საქართველოს ლელომდე ორ მეტრში შეაჩერეს.

მეორე ტაიმი ტონგელთა ლელოთი დაიწყო - 44-ე წუთზე **მაიკლ ფელეაფა** დაგვიძვრა და ანგარიშიც გათანაბრდა - 10:10. პატარა „ბორჯღალოსნებს" სულ ორი წუთი დასჭირდათ კვლავ დასაწინაურებლად, ლელო **მერაბ შარიქაძემ** გაიტანა - 17:10. ქართველთა უპირატესობა ყველა კომპონენტში უკვე აშკარა იყო და **გიორგი ხიდეშელის** ლელოს შემდეგ 54-ე წუთზე ანგარიში 22:10 გახდა.

სამ წუთში 12-ქულიანი უპირატესობა 5-მდე შემცირდა, ტონგელმა ლეაატოამ ლელო გაიტანა, მაგრამ 65-ე წუთზე 12-ქულიანი უპირატესობა აღსდგა - **თამაზ მჭედლიძემ** იყოჩაღა - 29:17. ტონგელებმა ბოლო წუთებზე ფანტასტიკურად ითამაშეს და ორი ლელო გაგვიტანეს (**ტანიელა ვაკუტა, მანასე ფოლაუ**), გადამწყვეტი კი ლეაატოას ზუსტი გარდასახვა გამოდგა - 29:31.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● შვიდკაცა რაგბი. ევროპის გრან პრი

# შერცხვენა მოსკოვში

FIRA AER
ASSOCIATION EUROPÉENNE RUGBY

მოსკოვში, ევროპის გრან პრის მეორე ეტაპზე ერთობ შერცხვა საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები.

**კახა ალანიამ** რუსეთში ექსპერიმენტული შემადგენლობა წაიყვანა - **ბექა ბინაძე, ალექსანდრე ტუჩაშვილი, ირაკლი ლვინჯილია, ივა დავითაშვილი, ირაკლი გეგენავა, ალექსანდრე ნიჟარაძე, გიორგი კალმახელიძე, გიორგი აფციაური, შავლეგ მახარაშვილი, გიორგი აბრამიძე, რატი ნუცუბიძე** და **დავით მაკაროვი**. ქართველებმა ა ჯგუფში უკანასკნელი ადგილი დაიკავეს, ბოლოს კი მხოლოდ ბოლოსწინა ადგილისთვის მოუწიათ ბრძოლა.

| A ჯგუფი | |
|---|---|
| საქართველო-უელსი | 21:25 |
| საქართველო-უკრაინა | 19:12 |
| საქართველო-ინგლისი | 7:47 |
| საქართველო-ჰოლანდია | 12:36 |
| საქართველო-რუსეთი | 0:33 |
| **პლეი ოფი** | |
| საქართველო-იტალია | 14:43 |
| საქართველო-ჰოლანდია | 24:10 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



● თვის მონაგარი

## ივნისი

**1. ფეხბურთი.** ბათუმში პრესკონფერენციაზე საქართველოსა და აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციების ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ ევრო 2020-ის ერთობლივი მასპინძლობის განაცხადი შეიტანეს.

**1-2. მხ. ტანვარჯიში.** ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა (**სალომე ფაჟავა, სოფიო ფარულავა, გაბრიელა ხვედელიძე**) მე-3 ადგილი დაიკავა.

**5. ფეხბურთი.** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა (მწვრთნელი **ალექსანდრე ჩივაძე**) ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში სტუმრად 2:1 დაამარცხა ესტონეთის ნაკრები.

**9. წყალბურთი.** საქართველოს ჩემპიონი „ლიგამუსი" გახდა, რომელმაც ფინალში „ივერიას" 12:6 მოუგო.

**10-11. ძიუდო.** რიო დე ჟანეიროს დიდ სლემზე ქართველებმა 4 ოქრო (**ბეთქილ შუკვანი, ვარლამ ლიპარტელიანი, ირაკლი ცირეკიძე, ადამ ოქრუაშვილი**) და 2 ბრინჯაო (**ამირან პაპინაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი**) მოიპოვეს.

**16. მძლეოსნობა.** 110 მეტრზე თარჯრბენში **დავით ილარიანმა** ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა.

**16. რაგბი.** ამერიკული ტურნეს პირველ მატჩში საქართველოს ნაკრები აშშ-სთან 20:36 დამარცხდა.

**17-18. ძიუდო.** ბუენოს აირესის მსოფლიოს თასზე ქართველებმა ოქროს 5 მედალი მოიპოვეს (**ბეთქილ შუკვანი, ლაშა შავდათუაშვილი, ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან ჟორჟოლიანი, ადამ ოქრუაშვილი**).

**18. რაგბი.** მსოფლიოს თასის ალაფის პირველ მატჩში საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა 31:17 დაამარცხა კანადა.

**19-20. თავისუფალი ჭიდაობა.** ზაგრებში, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მხოლოდ **ჯუმბერ ყველაშვილმა** (74 კგ) მოიპოვა ბრინჯაოს მედალი.

**22. რაგბი.** მსოფლიოს თასის ალაფის მატჩში საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა 43:7 მოუგო ზიმბაბვეს.

**22-24. ძიუდო.** ჩერნოგორიაში ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველებმა 2 ოქრო, 1 ვერცხლი, 1 ბრინჯაო მოიპოვეს და გუნდური მე-2 ადგილი დაიკავეს.

**23. რაგბი.** ამერიკული ტურნეს მეორე მატჩში საქართველოს ნაკრებმა კანადასთან 12:31 წააგო.

**23-24. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** ზაგრებში, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ქართველებმა 3 მედალი დაისაკუთრეს. **ლევან არაბული** (120 კგ) ვერცხლის მედალს შეწვდა, ბრინჯაო მოიპოვეს **რობერტ ქობლიაშვილმა** (84) და **იაკობ ქაჯაიამ** (96).

**26. რაგბი.** მსოფლიოს თასის ალაფის მატჩში საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა იაპონიასთან 33:36 წააგო.

**26. ჩოგბურთი.** ლონდონის ოლიმპიადის საგზურები „უაილდ ქარდებით" **ანა ტატიშვილმა** და **მაკა ჩახნაშვილმა** მოიპოვეს.

**29. ფეხბურთი.** ოფიციალურად გახდა „ზენიტის" ფეხბურთელი **ლევან ყენია.**

**29. წყალბურთი.** საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" დაიწყო საერთაშორისო ტურნირი „თბილისის თასი".

**30. ფეხბურთი.** უეფას გადაწყვეტილებით, 2015 წლის ევროპის სუპერთასს თბილისი უმასპინძლებს.

**30. რაგბი.** მსოფლიოს თასის ალაფის მე-3 ადგილისთვის მატჩში საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ტონგასთან 29:31 წააგო.

**30. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** დორტმუნდის დიდ პრიზზე **რევაზ ლაშხი** (60 კგ) ჩემპიონი გახდა, **ვლადიმერ გეგეშიძემ** (84) და **სოსო ჯაბიძემ** (96) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ქართველი NBA-ში


შენგელია ბრუკლინის კეპით

## თორნიკე შენგელია

დაიბადა: 05.10.1991
სიმაღლე: 207 სმ
წონა: 94 კგ.
პოზიცია: ფორვარდი

**საკლუბო კარიერა**

2007-10 - „ვალენსია“ (ესპანეთი)
2010-11 - „პეპინსტერი“ (ბელგია)
2011-12 - „შარლერუა“ (ბელგიის)
2012 - NBA-ს დრაფტზე აიყვანა „ფილადელფიამ“ და „ბრუკლინ ნეთსს“ დაუთმო.

**მიღწევები**

ევროთასის მფლობელი - 2010
ბელგიის ვიცე-ჩემპიონი - 2012

# 76-54-32...

## რა ელის შენგელიას?

765432... რას ნიშნავს კლებადობის მიხედვით ჩამოწერილი ექვსი ციფრი? მოდით, დავანაწევროთ და მერე განვმარტოთ: 76-54-32 ტელეფონის ნომერი არ გეგონოთ, საკალათბურთო ციფრებია, რომლებიც ივნისში საქართველოს ნაკრების 20 წლის ფორვარდის **თორნიკე შენგელიას** გასწვრივ ჩამწკრივდნენ: მან ტრევიზოს საზაფხულო კემპზე 32 ნომრით ითამაშა, თავი მოაწონა NBA-ს კლუბებს და დრაფტზე 54-ე ნომრად „ფილადელფია-76-მა“ აიყვანა.

შეგახსენებთ, რომ **ზაზა ფაჩულია** 2003 წელს 41-ე ნომრად აირჩიეს და ამერიკელი სპეციალისტები მას ევროპაში დაბრუნებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ საზაფხულო კემპებზე ფაჩულიამ პირველ წრეში არჩეულებსაც აჯობა და „ორლანდო მეჯიქისგან“ კონტრაქტიც დაიმსახურა.

„ბრუკლინ ნეთსის“ ხელმძღვანელობამ 2012 წლის დრაფტის დასრულებისთანავე „ფილადელფიას“ თორნიკე შენგელია დაათმობინა და 207 სმ სიმაღლის ქართველი ორლანდოს საზაფხულო კემპზე (9-12 ივლისი) „ბრუკლინის“ ღირსებას დაიცავს. სწორედ ამ შეჯიბრების შემდეგ გადაწყდება, თორნიკე „ნეთსთან“ გააფორმებს კონტრაქტს, თუ კარიერას დროებით ევროპაში გააგრძელებს. მანამდე ამერიკელი სპეციალისტების მოსაზრებებს გავეცნოთ. გამოცემა „ბლიჩერრეპორტის“ ჟურნალისტმა **დენ ფავალემ** შენგელიას ცალკე სტატია მიუძღვნა.

„2012 წლის დრაფტზე ძალიან ცოტა ევროპელი აირჩიეს. მათ შორის გახლდათ თორნიკე შენგელია, 20 წლის ქართველი, რომელსაც დიდი ენერგია აქვს, ღონიერია და მიზანმიმართული. შრომისმოყვარეობის ხარჯზე მან უმაღლეს პროფესიულ საფეხურს მიაღწია და ახალ სიმაღლეზე ასასვლელად ემზადება.

### რა სარგებლის მოტანა შეუძლია გუნდისთვის?

შენგელია მომხსნელი მანქანაა. დიდებულია ფარქვეშ პოზიციისთვის ბრძოლისას. შთამბეჭდავი ბრუნი მას დიდ უპირატესობას აძლევს გაცილებით მაღალი კალათბურთელების წინააღმდეგ თამაშისას. შედარებით დაბალ მცველებს კი იოლად უმკლავდება.

თორნიკე მოედანზეც კარგად გადაადგილდება, ბურთსაც შესანიშნავად ფლობს და სიმაღლის კვალობაზე სწრაფიცაა, თუმცა ტყორცნის სიზუსტე აქვს გამოსასწორებელი. ზოგჯერ იგი ნაჩქარევადაც ისვრის...

### რას ამბობენ სპეციალისტები?

არაერთი ექსპერტი სვამს კითხვას: კიდევ რა პლუსი აქვს შენგელიას ათლეტურობისა და ენერგიულობის გარდა? აი, რას წერს ESPN-ის მიმომხილველი **ჩად ფორდი:** „თორნიკე შენგელია მაღალი, აქტიური ფორვარდია, მეტად ათლეტური ევროპელი ახალგაზრდის კვალობაზე. იგი ძალიან კარგი მომხსნელია, მაგრამ სადღეისოდ ასეთივე კარგი ჩამგდები ვერ არის. თუმცა, წლევანდელ ევროლიგაზე სოლიდური შედეგი ჰქონდა - 8.3 ქულა.“

ახალგაზრდა ქართველის მონდომება, მოხსნებისას დიდი აგრესიულობა ევროლიგაზე მართლაც ძვირად ფასობდა. თუმცა საკითხავია, ყოველივე ეს საკმარისი იქნება სხვა დონეზე, NBA-ში ღირსეულად სათამაშოდ?



### რა ელის ამერიკაში?

ნაკლებად მოსალოდნელია, რომ შენგელიამ წლეულს NBA-ში დარჩენის შემთხვევაში დიდი სათამაშო დრო მიიღოს. თუმცა, თუ ასე მოხდა, კარგად შეძლებს თეთრის პარალელურად შავი სამუშაოს შესრულებას. მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად ხშირად გამოჩნდება მოედანზე, ან რამდენ წუთს ითამაშებს - სათადარიგოთა სკამიდან ადგომისთანავე იგი ბოლომდე თავის სამუშაოზე იქნება კონცენტრირებული.

თუ შენგელიას სათამაშო დრო უნდა, საკუთარ კლუბს უნდა მისცეს მიზეზი, ნდობისთვის. ამისთვის კი საჭიროა სროლის სტაბილურობა. ასევე აუცილებელია დაცვაში თამაშის კიდევ უფრო გაუმჯობესება, დაფარებები და თორნიკე ღირებულ ფორვარდად ჩამოყალიბდება.

ასე რომ, დღეს შენგელიას NBA-ში თამაში დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწრაფად შეუძლია მინუსების აღმოფხვრა და პროგრესირება.


32-ე ნომრით ტრევიზოს კემპზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

### რამდენად მართებული იყო 54-ე ნომრად აყვანა?

207 სმ სიმაღლის ქართველი „ფილადელფიამ“ 54-ე ნომრად აირჩია და უმალ „ბრუკლინ ნეთსს“ დაუთმო. რა ჩაიფიქრეს ბრუკლინელებმა? იქნებ, ქართველს რამე დაფარული საიდუმლოება აქვს? ამიტომ დღეს ძნელია იმის მტკიცება, რამდენად სწორი ნაბიჯი იყო მისი 54-ე ნომრად აყვანა. ეს მალე გამოჩნდება.“

„ბლიჩერეპორტის“ სტატიას თან ახლავს რამდენიმე კითხვა თორნიკესთან დაკავშირებით. გამოკითხულთა 22.2 პროცენტი მიიჩნევს, რომ შენგელია NBA-ს „ოლ სტარის“ დონის კალათბურთელად ჩამოყალიბდება; 18.4 პროცენტის აზრით იგი სასტარტო მოთამაშედ იქცევა; 47.2 პროცენტს მიაჩნია, რომ თორნიკე NBA-ს რომელიმე გუნდის საკვანძო კალათბურთელი გახდება; ხოლო 12.3 პროცენტის აზრით იგი იმედებს ვერ გაამართლებს.

ტრანსფერი

# დვალიშვილი ოლიმპში

საქართველოს 22-ე ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონი „ოლიმპი“ **აკაკი დვალიშვილით** გაძლიერდა. იგი გასულ სეზონში ჯერ „შსს აკადემიას“ ღირსებას იცავდა, შემდეგ - „სამედიცინოსი“.

მართალია, დვალიშვილი 1991 წელსაა დაბადებული და ახალგაზრდაა, მაგრამ საკმარისი გამოცდილება აქვს - იგი 16 წლის ასაკიდან საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში ასპარეზობდა. შარშან 20-წლამდელთა გუნდთან ერთად ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. აკაკი, თორნიკე შენგელიას შემდეგ გუნდის მეორე ბომბარდირი გახდა - საშუალოდ 29.9 წუთში 13.1 ქულასა და 7.2 მოხსნას აგროვებდა.

განვლილ საქართველოს ჩემპიონატში დვალიშვილმა „სამედიცინოში“ 14 მატჩი ჩაატარა. მისი საშუალო მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 14.4 ქულა და 10.5 მოხსნა.

208 სმ. სიმაღლის ფორვარდ-ცენტრთან საუბარი საკლუბო საკითხებით დავიწყეთ.

- „ოლიმპთან“ კონტრაქტი გასულ კვირას გავაფორმე. ხელშეკრულების მიხედვით გუნდში 2012-13 წლების სეზონის ბოლომდე დავრჩები.

**- ცნობილია, რომ შენი გადაყვანა „რუსთავსაც“ სურდა...**

- ჩემი ყოფილი გუნდის, „რუსთავის“ გარდა „დინამოც“ დაინტერესებული იყო და „სამედიცინოსაც“ უნდოდა ჩემი დატოვება, მაგრამ საბოლოოდ „ოლიმპი“ გადავწყვიტე. ოლიმპელები წლეულსაც მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებენ და იმედი მაქვს, მეც სათანადოდ დავეხმარები.


აკაკი დვალიშვილი (N21)

**- გასულ სეზონში ორი წრე განსხვავებულად ჩაატარე.**

- ჩემპიონატი „შსს აკადემიაში“ დავიწყე. თამაში მიწევდა, თუმცა ლეგიონერების დამატების მერე არცთუ ბევრი. ამიტომ მიზანშეწონილი იყო „სამედიცინოში“ გადასვლა, სადაც საკმარისი სათამაშო დრო მქონდა.

**- შედეგით რამდენად კმაყოფილი ხარ?**

- უკეთესადაც შეიძლებოდა გამოვსულიყავი, თუმცა მწვრთნელისა და თანაგუნდელების ხელშეწყობით შესაძლებლობები მეტ-ნაკლებად კარგად გამოვავლინე. „სამედიცინოს“ ხელმძღვანელობის მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

**- საქართველოს ეროვნულ გუნდში გამოგიძახეს. ნაკრების შეკრებამდე ინდივიდუალურად თუ ემზადებოდი?**

- საქართველოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მხოლოდ ერთი კვირა დავისვენე. ვვარჯიშობ ფიზიკურადაც და ბურთთანაც.

**- ნაკრებში გამოძახებას როგორ შეხვდი?**

- ძალიან გამეხარდა. ეროვნულ გუნდში თამაში ყველა კალათბურთელის ოცნებაა. მოტივირებული ვარ, თავს არ დავზოგავ, რომ 12 კაცს შორის მოხვედრა დავიმსახურო და ნაკრებს გამოვადგე.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა



ბლეიკმა (მარცხნივ) ბოლტი დაამარცხა

# ბოლტი სასტიკად დაამარცხეს

როგორც ჩანს, მსოფლიოს უსწრაფეს ადამიანს **უსაინ ბოლტს** სულაც არ აქვს გარანტირებული ლონდონის ოლიმპიადაზე გამარჯვება. იამაიკელს სერიოზული მონინაალმდეგე შარშანდელ სეზონში გამოუჩნდა თანამემამულე **იოჰან ბლეიკის** სახით. 2011 წელს ეს უკანასკნელი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა 100 მეტრზე, ოღონდ მაშინ იოჰანისა და უსაინის დუელი არ შედგა, რადგან ბოლტი ფალსტარტის გამო მოხსნეს დისტანციიდან. სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა 200 მეტრზე დაამარცხა ბლეიკი, მაგრამ შემდეგ ამ უკანასკნელმა უდიდესი პროგრესი განიცადა და ეს შაბათს დამტკიცდა.

გაიმართა იამაიკის ჩემპიონატი, რომლის შედეგების მიხედვით ოლიმპიური გუნდი უნდა დაკომპლექტებულიყო. 100 მეტრ დისტანციაზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ბოლტი, ბლეიკი და **ასაფა პაუელი**. გამარჯვება ბლეიკმა მოიპოვა პირადი რეკორდითა და სეზონში საუკეთესო დროით – 9.75 წამი. ბოლტის დრო საკმაოდ მოკრძალებული აღმოჩნდა – 9.86 წამი, რამაც მას მეორე ადგილი მოუტანა. მესამეზე აღმოჩნდა პაუელი 9.88 წამით. სამივე ოლიმპიურ ნაკრებში შევიდა.

კრივი

# ნაჩუქარი გამარჯვება



როი ჯონსი

პოლონეთის ქალაქ ლოძში საინტერესო საკრივო საღამო გაიმართა. ერთ-ერთ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო სუპერმძიმე წონაში ადგილობრივმა ამომავალმა ვარსკვლავმა **არტურ შპილკამ** (12-0, 9KO), რომელმაც რთულ ბრძოლაში დაამარცხა ამერიკელი **ჯამირ მაკლეინი** (41-12-3, 24KO).

მასიურმა მალკეინმა მაშინვე დაიკავა რინგის ცენტრი და აიძულა მეტოქე, მის გარშემო ერბინა. მაგრამ იმის თქმა არ შეიძლება, რომ პოლონელი მხოლოდ გაურბოდა მეტოქეს – დროდადრო მიზანმიმართულად და სახიფათოდ გადადიოდა კონტრშეტევაზე. მთელმა ბრძოლამ სწორედ ამ სცენარით ჩაიარა – მაკლეინი ზეწოლას ახდენდა, შპილი კონტრშეტევებით პასუხობდა.

ყველაზე საინტერესო მეშვიდე რაუნდი იყო – თავიდან რამდენიმე წარმატებული დარტყმა შპილკას ჰქონდა, ბოლო წამებზე კი მაკლეინმა რამდენიმე უძლიერესი დარტყმით შეაზანზარა პოლონელი. მომდევნო სირთულეებისგან პოლონელი გონგმა გადაარჩინა.

მერვე და მეცხრე გეიმები უფრო აქტიურ შპილკას დარჩა, მეათეში კი უკეთ გამოიყურებოდა მაკლეინი, მაგრამ ეს გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა – სამივე მსაჯმა გამარჯვება არტურ შპილკას მიანიჭა – 98:93, 98:94 და 97:94.

■ ■ ■

საღამოს მეორე ბრძოლაში 43 წლის **როი ჯონსმა** (56-8, 40KO) დაუმსახურებელი გამარჯვება მიიღო პოლონელ **პაველ გლაზევსკისთან** (17-1, 4KO) ბრძოლაში. ასეთი რამ იშვიათად ხდება, როცა მსაჯები ასე "ქურდავდნენ" მასპინძელ მოკრივეს.

მთელი ბრძოლის განმავლობაში გლაზევსკი დომინირებდა რინგზე – ჯონსს მაქსიმუმ 2-3 რაუნდს თუ მისცემდნენ. მეექვსე რაუნდში მასპინძელმა როი მარცხნიდან დარტყმით ნოკდაუნშიც კი გაგზავნა.

ყველა შემდეგ რაუნდს გლაზევსკი დამაჯერებლად იღებდა, მაგრამ მსაჯებმა გადაწყვიტეს, გამარჯვება მიენიჭებინათ მოკრივისთვის, რომელმაც პირწმინდად წააგო ბრძოლა. ერთმა არბიტრმა გლაზევსკის მხარე დაიჭირა – 95:94, ორმა კი ჯონსს მოაგებინა – 96:94 და 96:93.

კალათბურთი. NBA. ახალი ამბები

# გარნეტმა წასვლა გადაიფიქრა

## სატრანსფერო ჭორების მიმოხილვა

**დღეიდან ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თავისუფალი აგენტების ბაზარი იხსნება. და დღეს ამ ბაზრის მთავარ მოქმედ კალათბურთელებზე და მათ სავარაუდო დასაქმების ადგილებზე გვექნება მცირე მიმოხილვა. მაგრამ, სანამ სატრანსფერო ჭორებზე გადავიდოდეთ, ერთი მთავარი ამბის შესახებ. კევინ გარნეტმა გადაიფიქრა კარიერის დასრულება და "ბოსტონთან" სამწლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. ვეტერანს ხელფასიც ძალიან მაღალი ექნება – სამ სეზონში 34 მილიონ დოლარს მიიღებს.**

### ალენი მაიამიმ დაატიჟა

ყველაზე ხშირად ჭორები "ბოსტონის" ვეტერანი მცველის **რეი ალენის** გარშემო ვრცელდება. ამერიკული პრესა აღნიშნავს, რომ რეი წინააღმდეგი არ არის კლუბის შეცვლის, მაგრამ ძლიერ გუნდში სურს კარიერის გაგრძელება. ალენს ამ მხრივ გაუმართლა – უახლოეს ხანში მას წინადადებით მიმართავს NBA-ის ახალი ჩემპიონი "მაიამი ჰიტი". ალენმაც უკვე განაცხადა, რომ მზად არის განიხილოს ფლორიდელთა წინადადება.

### დერონი: ბრუკლინი და დალასი?

რა თქმა უნდა, როცა სატრანსფერო თემაზეა ლაპარაკი, იქ ყოველთვის ფიგურირებს **დერონ უილიამსის** გვარი. ლიგის ვარსკვლავურ გამთამაშებელს კვლავ ვერ გაურკვევია, სად ურჩევნია კარიერის გაგრძელება – თავის ამჟამინდელ კლუბში "ბრუკლინში" თუ სადმე სხვაგან.

ESPN-ის ჟურნალიტები დარწმუნებით წერენ, რომ დერონმა და ვეტერანმა გამთამაშებელმა **ჯეისონ კიდმა** უკვე მიიღეს გადაწყვეტილება და ისინი ერთად ითამაშებენ "ბრუკლინში". როგორც კიდის ინკოგნიტო მეგობარი ამბობს, ცოტა ხნის წინ, ჯეისონმა ისტჰემპტონში შეიძინა სახლი.

ეს ამბავი ჯერ დადასტურებული არ არის. ამასობაში კი "დალას მავერიქსის" ლიდერი **დირკ ნოვიცკი** აღნიშნავს, რომ მის გუნდს დერონ უილიამსის გაფორმების კარგი შანსი აქვს. *"ვფიქრობ, დერონი ჯერ ვერ ჩამოყალიბდა და ძალიან უჭირს სერიოზული არჩევანის გაკეთება. რა თქმა უნდა, "ნეტსის" ბრუკლინში გადასვლის შემდეგ, ეს ვარიანტი საკმაოდ მომხიბვლელია, მაგრამ დალასი მისი სახლია. ვფიქრობ, ჩვენს გუნდს მასთან კონტრაქტის გაფორმების კარგი შანსი აქვს"*, - განაცხადა გერმანელმა ვარსკვლავმა.

უილიამსი "დალასისა" და "ბრუკლინის" ხელმძღვანელობას მომავალ კვირას შეხვდება. მან 7 ივლისამდე უნდა თქვას საბოლოო პასუხი. სწორედ ამ დროს იხსნება აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების ბანაკი.

### ჰოვარდი ბრუკლინს ითხოვს

რა თქმა უნდა, არ უნდა დავივიწყოთ "ორლანდოს" ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი**. ცოტა ხნის წინ ვწერდით იმის შესახებ, რომ "სუპერმენი", შესაძლოა, გაცვლის შედეგად ერთი წლით "ჰიუსტონში" გადასულიყო, მაგრამ ამ ვარიანტზე ახალი არაფერი დაწერილა.

ახლა ირკვევა, რომ დუაიტ ჰოვარდმა "ორლანდოს" გენერალურ მენეჯერს **რობ ჰენინგანს** "ბრუკლინში" გაცვლა მოსთხოვა. ლიგის საუკეთესო ცენტრი მზად არის "ნეტსში" გადავიდეს იმ შემთხვევაში, თუ იქ დერონ უილიამსი დარჩება. თავად ბრუკლინური კლუბი მზად არის ჰოვარდს ხუთწლიანი კონტრაქტი შესთავაზოს ჯამში 100 ათასი დოლარის ოდენობის ხელფასით.

"ორლანდოსთან" დაკავშირებით კიდევ ერთი სიახლე ის არის, რომ ამ გუნდის მცველმა **ჯამირ ნელსონმა** გამოიყენა თავის კონტრაქტში არსებული პუნქტი და დღეიდან თავისუფალი აგენტია. პრესის ინფორმაციით, გამთამაშებელს სურს მიიღოს მრავალწლიანი კონტრაქტი კლუბში, რომელსაც ჩემპიონობაზე ექნება პრეტენზია.

### სხვა ამბები

აქვე მოკლედ სხვა ახალი ამბების შესახებ. კარიერის გაგრძელების ორი ვარიანტი აქვს "დალასის" სნაიპერს **ჯეისონ ტერის**. "ბოსტონი" რეი ალენის შემცვლელს ეძებს და ამისთვის, უახლოეს დღეებში კონკრეტული წინადადებით მიმართავს ტერის. გარდა ამისა, ჯეისონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ აუცილებლად განიხილავს "მაიამის" წინადადებას.

■ ■ ■

"ლოს ანჯელეს კლიპერსთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა მძიმე ფორვარდმა **ბლეიკ გრიფინმა**. ხელშეკრულება ხუთწლიანია და გრიფინის ჯამური ხელფასი დაახლოებით 95 მილიონი იქნება.

■ ■ ■

"მაიამის" ფორვარდმა **რონი ტურიაფმა** ფლორიდულ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი განაცხადა და ეძებს გუნდს, რომელიც მასთან მრავალწლიან სარფიან ხელშეკრულებას დადებს.

■ ■ ■

დაბოლოს, ბოლო ორი კვირის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო "ოკლაჰომა სიტისა" და მისი მთავარი მწვრთნელის **სკოტ ბრუქსის** ურთიერთობა. მხარეები ბოლო მომენტამდე ვერ ახერხებდნენ მოლაპარაკებას. "ოკლაჰომას" ბოლო წინადადების თანახმად, ბრუქსი მიიღებდა 4-წლიან და 16 მილიონიან კონტრაქტს. თავიდან დამრიგებელმა ამაზეც უარი განაცხადა, მაგრამ ბოლო ინფორმაციის თანახმად, ბრუქსი ხელს მოაწერს ამ ხელშეკრულებას.



კევინ გარნეტი

# უეიდის შემდეგ ბოში

## ამერიკამ და ბრიტანეთმა კალათბურთელები დაკარგეს

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, აშშ-ის ოლიმპიურმა ნაკრებმა ორი წევრი დაკარგა. ორივენი "მაიამი ჰიტის" მოთამაშეები არიან. თავდაპირველად, მუხლის ტრავმის გამო ლონდონის თამაშებზე გამგზავრება არ მოისურვა **დუეინ უეიდმა**. ახლა კი ირკვევა, რომ **მაიკ კრჟიჟევსკის** გუნდს ოლიმპიადაზე ვერც ფორვარდი **კრის ბოში** დაეხმარება. ამის მიზეზი გახდა მუცლის კუნთის ტრავმა, რომლის გამოც ბოშმა პლეი ოფის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოტოვა.



კრის ბოში

*"ძალიან იმედგაცრუებული ვარ, რომ ტრავმის გამო ვერ შევძლებ ლონდონის ოლიმპიადაზე ჩემი ქვეყნის წარმოდგენას*, - წერია ბოშის განცხადებაში. - *მუცლის ტრავმა ბოლომდე მორჩენილი არ არის. დასვენება და დამატებითი რეაბილიტაცია აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქრონიკული ტრავმა გარდაუვალია"*.

აშშ-ის ნაკრები ოლიმპიადისთვის მზადებას ამ კვირას ლას ვეგასში დაიწყებს.

■ ■ ■

ასევე შესუსტებული შემადგენლობით ითამაშებს ოლიმპიადაზე მასპინძელი – ბრიტანეთის ნაკრები. კერძოდ, გაირკვა, რომ ბრიტანელების რიგებში ვერ ვიხილავთ ახლახანს "დეტროიტიდან" "შარლოტში" გადასულ ბენ გორდონს.

არადა, ადრე წერდნენ, რომ გორდონი ამ დღეებში უნდა შეერთებოდა ბრიტანეთის ნაკრების შეკრებას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

მოტოგრანპრი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ავარია ჩემპიონის სასარგებლოდ


კეისი სტოუნერი

მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი ჰოლანდიაში გაიმართა. ისევე, როგორც წინა რბოლებში, ამჯერადაც პოული მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **კეისი სტოუნერმა** მოიპოვა, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა, რადგან წინა სამ ეტაპზე ავსტრალიელმა სამივეჯერ წააგო დუელი **ხორხე ლორენსოსთან**.

რბოლის მთავარი მოვლენები დასაწყისშივე განვითარდა. **დანი პედროსამ** სტარტზე გაუსწრო სტოუნერს, **ალვარო ბაუტისტამ** კი პირველ მოსახვევში შეცდომა დაუშვა და ტრასიდან გადავარდა, რაც მთავარია, თან გაიყოლა გენერალური კლასიფიკაციის ლიდერი ლორენსო. პირველი წრის შემდეგ პელოტონი ასე გამოიყურებოდა: პედროსა, სტოუნერი, **სპისი, დოვიციოზო, ბრადლი, როსი, ბარბერა, ჰეიდენი** და **კრატჩლოუ**.

ამის შემდეგ, პილოტები ინტერესების მიხედვით ჯგუფებად დაიყვნენ: პირველი ჯგუფი შეადგინეს პედროსამ და სტოუნერმა, მეორე – სპისმა და დოვიციოზომ, მესამე – როსიმ, ბარბერამ, ჰეიდენმა და კრატჩლოუმ (ბრადლმა მეორე წრეზე პილოტირებაში შეცდომა დაუშვა და ბრძოლა შეწყვიტა). სტოუნერი დიდი ხანი კვალში ედგა პედროსას და როცა ამ უკანასკნელმა მცირე შეცდომა დაუშვა (ფინიშამდე 10 წრით ადრე), კეისი წინ გავიდა. ავსტრალიელმა შანსი ხელიდან აღარ გაუშვა, სეზონში მესამე გამარჯვებას მიაღწია და რადგან ლორენსო ნაადრევად გამოეთიშა ბრძოლას, საერთო ჩათვლაში ესპანელს გაუთანაბრდა.

მესამე ადგილისთვის ბრძოლა ანდრეა დოვიციოზომ მოიგო: ბენ სპისთან პაექრობაში გადამწყვეტი გასწრება მან ბოლო წრეზე შეასრულა. მეხუთეზე გავიდა კელ კრატჩლოუ, რომელიც ოთხპილოტიან ჯგუფში პირველი მივიდა ფინიშთან. თუმცა ეს ჯგუფი ფინიშთან ახლოს საბოლოოდ დაიშალა: ვალენტინო როსი თავისმა მოტოციკლმა დაალალატა და იტალიელს ბოქსებში შესვლა მოუწია, ნიკი ჰეიდენი და ექტორ ბარბერა კი უბრალოდ ჩამორჩნენ კრატჩლოუს.

**ჰოლანდიის გრანპრი**

1. **კეისი სტოუნერი** (Honda) - 26 წრე; 2. **დანი პედროსა** (Honda) - +4,965; 3. **ანდრეა დოვიციოზო** (Yamaha) - +11,994; 4. **ბენ სპისი** (Yamaha) - +14,775; 5. **კენ კრატჩლოუ** (Yamaha) - +22,074; 6. **ნიკი ჰეიდენი** (Ducati) - +31,660; 7. **ექტორ ბარბერა** (Ducati) - +59,107; 8. **რენდი დე პუნიე** (ART) - +1:04,441; 9. **მიკელე პირო** (FTR) - +1:06,980; 10. **მატია პაცინი** (ART) +1:25,087...

**საერთო ჩათვლა**

1. **ხორხე ლორენსო** (Yamaha) - 140 წრე; 2. **კეისი სტოუნერი** (Honda) - 140; 3. **დანი პედროსა** (Honda) - 121; 4. **კენ კრატჩლოუ** (Yamaha) - 77; 5. **ანდრეა დოვიციოზო** (Yamaha) – 76; 6. **ვალენტინო როსი** (Ducati) - 61; 7. **ნიკი ჰეიდენი** (Ducati) - 59; 8. **ალვარო ბაუტისტა** (Honda) - 58; 9. **შტეფან ბრადლი** (Honda) - 51; 10. **ბენ სპისი** (Yamaha) - 48.

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# ყვითელი კანჩელარამ ჩაიცვა

რიგით 99-ე ტურ დე ფრანსის პროლოგი ლიეჟში გაიმართა და მას ოთხი ფავორიტი ჰყავდა. შარშანდელი დროზე განცალკევებითი რბოლების ლიდერების – **ფაბიან კანჩელარასა** და **ტონი მარტინის** გარდა, ესენი იყვნენ საერთო ჩათვლის ტოპ-ფავორიტი **ბრედლი უიგინსი** "თიმ სქაიდან" და ახალგაზრდა **პეტერ საგანი**, რომელმაც ამ სეზონში ნამდვილი ფურორი მოახდინა. ცოტა ხნის წინ მან შვეიცარიის ტურის პროლოგში თვით კანჩელარა დაამარცხა.

მაგრამ ამ ოთხეულიდან ორმა თავიდანვე დაკარგა მაღალ ადგილებზე გასვლის შანსი. პირველი სტარტზე პეტერ საგანი ("ლიკვიგასი") გავიდა, მაგრამ სლოვენიელი ერთ-ერთ მოსახვევში ვერ ჩაჯდა, ძლივს შეიკავა თავი და ბევრი დრო დაკარგა. თუმცა საგანს ისედაც არ ჰქონდა მაღალი ტემპი და სუსტად გამოიყურებოდა.

რაც შეეხება დროზე განცალკევებით ბრძოლაში მსოფლიოს ჩემპიონ ტონი მარტინს, მას პირველ საშუალედო ფინიშზე საბურავი გაუსკდა, რის გამოც "ომეგას" ველომრბოლმა მომავალ გამარჯვებულთან 15 წამი წააგო.

გამარჯვებისთვის ბრძოლა **სილვენ შავანელს**, ბრედლი უიგინსსა და ფაბიან კანჩელარას შორის გაიმართა. პირველ საშუალედო ფინიშზე ბრიტანელი ფრანგთან ექვს წამზე მეტს აგებდა და თითქოს "თიმ სქაის" კაპიტანს აღარ შეეძლო ამ ჩამორჩენის გაბათილება, მაგრამ უიგინსმა შეძლო საფრანგეთის ჩემპიონის გასწრება 42 მეასედი წამით. მაგრამ ბრედლის სიხარული დიდი ხანი არ გაგრძელებულა. ყვითელი მაისურა, როგორც მოსალოდნელი იყო, შვეიცარიელმა ფაბიან კანჩელარამ ჩაიცვა. მან თავის გუნდს – "რადიო-შეკს" მიმდინარე სეზონში პირველი სერიოზული წარმატება მოუტანა. კანჩელარამ შვიდი წამით გაუსწრო უიგინსს, რაც ასეთი მოკლე პროლოგისთვის სერიოზული უპირატესობაა.

იმ პილოტებიდან, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ გენერალურ კლასიფიკაციაში გამარჯვებაზე, საუკეთესო უიგინსი იყო. მეორე შედეგი კი **დენის მენშოვს** ჰქონდა – მისი მეათე ადგილი ღირსეული შედეგია. ტურის მოქმედი ჩემპიონი **კეიდელ ევანსი** პროლოგში მეორე ათეულში მოხვდა.


ფაბიან კანჩელარა

პირველ ეტაპზე ლიეჟიდან სერენამდე ველომრბოლებს საკმაოდ უბრალო რელიეფი ელით, მაგრამ მეოთხე კატეგორიის მთაზე ფინიში ყველაზე მეტად ბელგიელ **ფილიპ ჟილბერსა** და ამ სეზონის ვარსკვლავს პეტერ საგანს აწყობთ.

**პროლოგი**

1. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიცარია, RadioShack-Nissan) – 7.13; 2. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +0,07; 3. **სილვენ შავანელი** (საფრანგეთი - Omega Pharma-Quick Step) - +0,07; 4. **ტიჯეი ვან გარდერენი** (აშშ - BMC Racing Team) - +0,10; 5. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორვეგია - Team Sky) - +0,11; 6. **ბრეტ ლანკასტერი** (ავსტრალია - Orica-GreenEdge) - +0,11; 7. **პატრიკ გრეტში** (გერმანია - Argos-Shimano) - +0,12; 8. **დენის მენშოვი** (რუსეთი – "კატიუშა") - +0,13; 9. **ფილიპ ჟილბერი** (ბელგია - BMC Racing Team) - +0,13; 10. **ანდრეი გრივკო** (უკრაინა - „ასტანა") - +0,15...

ჰოკეი

# პიტსბურგი ძლიერდება


ზაკ პარიზე

"პიტსბურგ პინგვინზი" სერიოზულად აპირებს შემადგენლობის გაძლიერებას. "პინგვინების" ხელმძღვანელობას განზრახული აქვს მრავალწლიანი კონტრაქტის შეთავაზება "ნიუ ჯერსის" ფორვარდ **ზაკ პარიზესთვის**, რომელიც დღეიდან თავისუფალი აგენტი გახდა. თუ პარიზე ამ წინადადებას დათანხმდა, მისი ხელფასი წელიწადში 7-8 მილიონი დოლარი იქნება.

ადრე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "მინესოტას" პარიზესთვის 13-წლიანი ხელშეკრულება აქვს გამზადებული. ასევე ამ ფორვარდზე პრეტენზიას აცხადებენ "ფილადელფია", "დეტროიტი" და "რეინჯერსი".

ასევე ცნობილი გახდა, რომ "პიტსბურგმა" კონტრაქტი გააფორმა მცველ **მეტ ნისკანენთან**. ხელშეკრულება ორწლიანია, რომლის მიხედვითაც ამერიკელი 2.3 მილიონ დოლარს მიიღებს.

აშშ-ის ნაკრების 25 წლის ფორვარდმა კარიერაში 370 მატჩი ჩაატარა და 21 გოლითა და 86 ქულით გამოიჩინა თავი. გასულ სეზონში მან "პიტსბურგის" რიგებში 75 მატჩი ჩაატარა და 24 ქულა დააგროვა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ნორვეგია** | |
| ბრანი-სტაბეკი | 2:1 |
| ჰაუგესუნდი-ტრომსიო | 1:1 |
| ლილესტრიომი-სანდნესი | 1:2 |
| მიოლდე-ოდ გრენლანდი | 3:1 |
| სტრიომსგოდსეტი-ჰიონეფოსი | 4:0 |
| ვიკინგი-რუსენბორგი | 1:4 |
| **II დივიზიონი** | |
| სტარტი-ულ კისა | 2:0 |
| ჰამ კამი-ალტა | 3:0 |
| კონგსვინგერი-ბორუმი | 6:2 |
| ნოტოდენი-ბოდო გლიმტი | 0:4 |
| რანჰეიმი-ჰიოდი | 1:1 |
| სანდეფიორდი-ტრიომსდალენი | 1:2 |
| სარპსბორგი-ბრინი | 2:2 |
| სტრომენი-მიონდალენი | 2:2 |
| **შვედეთი** | |
| ატვიდაბერგი-ელფსბორგი | 5:1 |
| ჰაკენი-სუნდსვალი | 1:2 |
| კალმარი-სირიანსკა | 3:0 |
| მიალბიუ-ნორჩოპინგი | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ანგელჰოლმი-ვარბერგსი | 3:2 |
| ვარნამო-ბრაგე | 3:0 |
| ოსტერი-დეგერფორსი | 2:0 |
| ტრელებორგსი-ლიუნგსკილე | 1:0 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ოულუ-ჰიფკ | 3:1 |
| ჰამეენლინა-კოტეპე | 1:1 |
| იიპო-ოპს | 3:1 |
| როვანიემი-პკ35 | 1:1 |
| სეინაიოენი-ვიიკინგიტი | 3:1 |
| **ისლანდია** | |
| აკრანესი-ჰაფნარი | 2:7 |
| რეიკიავიკი-გრინდავიკი | 4:1 |
| **საბერძნეთი** | |
| კალითეა-პლატანიასი | 2:0 |
| აელ-პანახაიკი | 4:0 |
| **ბელარუსი** | |
| მინსკი-ნაფტანი | 1:0 |
| ბატე-დინამო (მნ) | 1:3 |
| ბელშინა-ტორპედო | 0:0 |
| დინამო (ბრ)-შახტიორი | 1:2 |
| **ესტონეთი** | |
| ფლორა-სილამაე | 3:0 |
| ლევადია-კალიუ | 1:1 |
| ტამეკა-ტრანს ნარვა | 2:3 |
| **ლატვია** | |
| სკონტო-მეტა | 5:0 |
| გულბენე-დაუგავა | 0:2 |
| მეტალურგსი-დაუგავა რიგა | 1:0 |
| იეგლავა-სპარტაკსი | 3:2 |
| ვენტსპილსი-იურმალა | 1:1 |
| **[illegible]** | |
| დაინავა-ვილნიუსი | 2:0 |
| კრუოია-ტაურასი | 3:1 |
| სუდუვა-ეკრანასი | 2:3 |
| **ბრაზილია** | |
| კრუზეირო-სან პაულუ | 2:3 |
| ნაუტიკო-ფლუმინენსე | 0:2 |
| ვასკო-პონტე პრეტა | 3:2 |
| ბაია-ინტერნასიონალი | 1:1 |
| კურიტიბა-სპორტ რესიფე | 2:3 |
| პორტუგეზა-სანტოსი | 0:0 |
| **არგენტინა** | |
| **პლეი ოფი** | |
| სან ლორენსო-ინსტიტუტო | 1:1 |
| სან მარტინი-როსარიო | 0:0 |
| **ეკვადორი** | |
| ბარსელონა-ტეძ. უნივერსიტარიო | 3:0 |
| დეპ. მაკარა-ემელეკი | 0:2 |
| ეს ნასიონალი-ლიგა დე ლოხა | 1:3 |
| ინდეპენდიენტე-დეპ. კუენკა | 1:2 |
| მანტა-დეპ. კიტო | 1:2 |
| ოლმედო-ლდუ დე კიტო | 2:0 |
| **პარაგვაი** | |
| ნასიონალი-ინდეპენდიენტე | 5:0 |
| რუბიო ნუ-სპორტივო | 0:0 |
| სოლ დე ამერიკა-ოლიმპია | 0:1 |
| ტაკუარი-დეპ. კარაპეგუა | 1:1 |
| ლიბერტადი-პრეზიდენტე | 2:0 |
| **პერუ** | |
| ალ. ლიმა-სესარ ვალიეხო | 2:0 |
| სპ. კრისტალი-ლეონი | 1:0 |
| ინტი გასი-უნ. სან მარტინი | 2:1 |
| სპორტი-უ. კომერსიო | 2:1 |
| სენსიანო-რეალ გარსილასო | 2:0 |
| მელგარი-კობრესოლი | 2:1 |
| **აშშ** | |
| ტორონტო-ნიუ ორკი | 1:1 |
| ნიუ ინგლენდი-სიეტლი | 2:2 |
| დი სი იუნაიტედი-მონრეალი | 3:0 |
| ჰიუსტონი-ფილადელფია | 2:1 |
| კოლამბუსი-სოლტ ლეიკი | 2:0 |
| კოლორადო-პორტლენდი | 3:0 |
| სან ხოსე-ლოს ანჯელესი | 4:3 |
| **იაპონია** | |
| იოკოჰამა-ნაგოია | 1:1 |
| ვეგალტა-ჰიროშიმა | 2:2 |
| ნიიგატა-კაშიმა | 1:1 |
| სერეზო-ურავა | 1:1 |
| გამბა-კაშივა | 2:6 |
| ივატა-ტოკიო | 3:1 |
| კავასაკი-კობე | 0:1 |
| ომიია-შიმიცუ | 1:0 |
| ტოსუ-საპორო | 1:0 |

TV პროგრამა

**2 ივლისი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-პალერმო.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-დორტმუნდი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-მილანი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. მონპელიე-ლიონი.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-სანდერლენდი.
**20:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-რეალი.
**22:00** ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. მანჩესტერ სიტი.
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. VI დღე. ლონდონი. ინგლისი.
**14:15** სპორტ-NEWS.
**14:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი. VII დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**00:00** რაგბი. ევროპის სუპერლიგა. ედინბურგი-ტულუზა.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. VI დღე. ლონდონი. ინგლისი.
**14:15** სპორტ-NEWS.
**14:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი. VII დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 15 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 14 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 15 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 16 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 14 | 26 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 13 | 26 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 14 | 26 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 14 | 25 | (მზე) |
| ქობულეთი | 14 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 6 | 17 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 10 | 25 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 9 | 19 | (მცირე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0704 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6451 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5677 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0130 |

ცურვა

# ფელპსის მეორე რევანში

ლეგენდარულმა ამერიკელმა მოცურავე **მაიკლ ფელპსმა** შეძლო აშშ-ის ჩემპიონატზე **რაიან ლოხტესთან** პირად დუელში წინ გასვლა. თანამედროვეობის ორი მთავარი ვარსკვლავის ინტერესები რიგით მესამე დისციპინაში გადაიკვეთა და ფელპსმა შეძლო წინ გასვლა - 2:1.

ამჯერად პირველობა გათამაშდა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში და ფინალში ფელპსმა ლოხტეს 9 მეასედი წამი მოუგო. შეგახსენებთ, რომ მანამდე რაიანმა მაიკლი 400 მეტრზე კომპლექსურში დაამარცხა, შემდეგ კი ფელპსმა რევანში 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში აუღო.

ფელპსს უკვე ოთხ დისციპლინაში აქვს მოპოვებული ლონდონის ოლიმპიადის საგზური.

ეროვნული ბიბლიოთეკა


კვიტოვა დამაჯერებელი იყო

# ოქროს სეტი, სერენას რეკორდი და...

შაბათს, ქალთა ბადის ქვედა მხარეს სამი ძირითადი ფავორიტი თამაშობდა: **სერენა უილიამსი, ვიქტორია აზარენკა** და **პეტრა კვიტოვა**. სერენა, რომელიც პირველ წრეებში მაინც და მაინც სტაბილურობით ვერ გამოირჩეოდა, ჩინელ **ჟიე ჟენგს** ხვდებოდა. ამერიკელს მოგებული ჰქონდა ჟენგისთვის ხუთივე შეხვედრა, მაგრამ ბოლო ორში ჩინელმა ბრძოლა მოახვია თავს უიმბლდონის ოთხგზის ჩემპიონს.

პირველ პარტიაში ორივე ჩოგბურთელი ინარჩუნებდა თავის მოწოდებას. მიღებაზე ერთადერთი შანსი ჩინელს ჰქონდა, მაგრამ სერენამ მოიგერია სეტის დასაწყისში ორმაგი ბრეიკ-პოინტი. ტაიბრეიკზე ჟენგი თავიდანვე გავიდა წინ და პირველმა მიაღწია სეტბოლამდე. მოწოდებაზე ამერიკელი იყო და აზიელმა მიღებაზე კარგად ითამაშა, რამაც პარტიის მოგების საშუალება მისცა.

მეორე პარტიაში სერენამ, როგორც იქნა, აიღო მეტოქის მოწოდება და უპირატესობა მის ხელში გადავიდა, რაც ზედიზედ ხუთი გეიმის ალებაში გამოიხატა. მაგრამ მესამე სეტში ამ სერიის გაგრძელება ვერ შეძლო. ჩინელმა თითქმის ნულამდე დაიყვანა შეცდომები, უილიამსი კი კინაღამ დალუპა მისმა უზუსტობებმა. სეტის შუაში ჟენგმა სამმაგი ბრეიკპოინტი მიიღო, მაგრამ ურთულეს მომენტში ამერიკელმა შეძლო მობილიზება და გეიმი გადაარჩინა. ამ წარუმატებლობას ჟენგზე არ უმოქმედია და მან გააგრძელა თავის მოწოდებებზე წარმატებული თამაში. უილიამსი დიდი ხანი ვერ ახერხებდა მიღებაზე ბრძოლას, სამაგიეროდ, მოწოდება გამოასწორა. ამერიკელმა პირადი რეკორდიც კი დაამყარა ერთ მატჩში ეისების რაოდენობით – 23.

მხოლოდ მე-15 გეიმში დაუშვა ჟენგმა რამდენიმე უზუსტობა და წააგო თავისი მოწოდება. თუმცა არ დანებდა, მიღებაზე იბრძოლა, ორი მატჩბოლი მოიგერია, მაგრამ მაინც ვერ გადაელობა ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს – 7:6(5), 2:6, 7:9.

დღეს სერენა **იაროსლავა შვედოვას** შეხვდება. ყაზახეთის წარმომადგენელმა უნიკალურ შედეგს მიაღწია როლან გაროსის ფინალისტ **სარა ერანისთან** მატჩში. პირველი პარტია მან ისე მოიგო, რომ არც ერთი (!) ქულა არ წაუგია (მთელი სეტი მხოლოდ 15 წუთი გაგრძელდა). ასეთ მიღწევას "ოქროს სეტი" ეწოდება და ის მეორეა ჩოგბურთის ისტორიაში. პროფესიულ ჩოგბურთში პირველი შემთხვევა 1983 წელს დელრეი-ბიჩის ტურნირზე დაფიქსირდა, როცა **ბილ სკენლონმა მარკოს ნოჩევარა** დაამარცხა – 6:2, 6:0. ეს მიღწევა მაშინ გინესის რეკორდების წიგნში შეიტანეს.

მეორე პარტიაში სარა გონს მოეგო და გარკვეული ხანი ლიდერიც იყო, მაგრამ მაინც დამარცხდა – 0:6, 4:6.

**ვიქტორია აზარენკა** 19 წლის **იანა ჩეპელოვას** ხვდებოდა, რომელსაც დებიუტი ჰქონდა უიმბლდონზე და მესამე წრემდე მიაღწია. ვიქტორიას მისთვის სრულიად უცნობ მეტოქესთან იოლი მატჩი არ ჰქონია. პირველი პარტიის პირველ ნახევარში სლოვაკი თანაბრად ეთამაშებოდა მეორე ჩოგანს, მაგრამ ბოლოსკენ მოწოდება აერია და ბელარუსმა ამით კარგად ისარგებლა. მეორე სეტის დასაწყისშიც თანაბარი ბრძოლა იყო. აზარენკას მოწოდებაზე ერთი გეიმი 14 წუთი გაგრძელდა. ბოლოსკენ ვიკამ ისევ მოიპოვა ინიციატივა და დამაჯერებლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე – 6:3, 6:3. მას ახლა წინ აქვს მერვედფინალი კარგად ნაცნობ და უფრო სახიფათო **ანა ივანოვიჩთან**. სერბმა სამ სეტში დაამარცხა **იულია გორგესი**. გერმანელმა უკეთ დაიწყო შეხვედრა, მაგრამ მეორე სეტის შუაში ანამ საბოლოოდ მოიპოვა ინიციატივა და მართალია, მესამე პარტიაში ბრძოლა საკმარისად იყო, გადამწყვეტ მომენტში ივანოვიჩმა უკეთ ითამაშა – 3:6, 6:3, 6:4.

ყველაზე იოლი მატჩი ტურნირის მოქმედ ჩემპიონს ჰქონდა. **პეტრა კვიტოვას** მეტოქე **ვარვარა ლეპჩენკო** იყო. ამერიკელმა ვერ აჩვენა ის თამაში, რომლითაც წინა წრეში რუსი **ანასტასია პავლიუჩენკოვა** გაანადგურა და მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთი გეიმის ალება შეძლო – 1:6, 0:6. ჩეხს წინ აქვს მატჩი **ფრანჩესკა სკიავონესთან**, რომელმაც **კლარა ზაკოპალოვას** მოუგო იოლად.

კიდევ ერთი მერვედფინალური წყვილი დააკომპლექტეს **ტამირა პაჩეკმა** და **რობერტა ვინჩიმ**. ავსტრიელმა ძალიან რთული მატჩი მოუგო **იანინა ვიკმაიერს**, რომელმაც მატჩზე ჩაწოდება ვერ გამოიყენა. თუ პაჩეკი შარშან უიმბლდონის მეოთხედფინალამდე გავიდა, ვინჩიმ პირველად მიაღწია "დიდი სლემის" ტურნირების მერვედფინალამდე.

### 1/16 ფინალი

**სერენა უილიამსი (აშშ, 6)**-ჟიე ჟენგი (ჩინ, 25) 6:7(5), 6:2, 9:7; **იაროსლავა შვედოვა (ყაზ)**-სარა ერანი (იტა, 10) 6:0, 6:4; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 24)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:0, 6:4; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 4)**-ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) 6:1, 6:0; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ) 2:6, 6:7(4), 5:7; **რობერტ ვინჩი (იტა, 21)**-მირიანა ლუჩიჩი (ხორ) 7:6(4), 7:6(3); **ანა ივანოვიჩი (სერ, 14)**-იულია გორგესი (გერ, 22) 3:6, 6:3, 6:4; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 2)**-იანა ჩეპელოვა (სლოვაკ) 6:3, 6:3.

### 1/8 ფინალი

შარაპოვა (1)-ლისიცკი (15); კლაისტერსი-კერბერი (8); ა. რადვანსკა (3)-ჯორჯი; კირილენკო (17)-პენგი (30); ს. უილიამსი (6)-შვედოვა; სკიავონე (24)-კვიტოვა (4); პაჩეკი-ვინჩი (21); ივანოვიჩი (14)-აზარენკა (2).

# როდიკმა ბოლო მატჩი ითამაშა?

მამაკაცთა ტურნირზე მთავარი სენსაციის ავტორმა **ლუკაშ როსოლმა** ვერ შეძლო შემდგომი წინსვლა. **ფილიპ კოლშრაიბერი** უპრობლემოდ სამ სეტში გაუსწორდა **რაფაელ ნადალის** მძლეველს. გერმანელი შემდეგ რაუნდში **ბრაიან ბეიკერს** შეხვდება. ამერიკელმა კვალიფიკაცია გაიარა და ახლა უკვე მერვედფინალის საგზურის მფლობელია. შაბათს, ბრაიანმა **ბენუა პერი** დაამარცხა, რომელმაც, თავის მხრივ, მანამდე უკრაინელი **ალექსანდრ დოლგოპოლოვი** გამოთიშა ბრძოლას.

წინსვლას აგრძელებს შარშანდელი ნახევარფინალისტი **ჟო-ვილფრიდ ცონგა**. ფრანგმა სამ სეტში დაამარცხა **ლუკაშ ლაჩკო** და ახლა **მერდი ფიშს** შეხვდება. ამერიკელმა, რომელიც პირველ ტურნირს ატარებს გულზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ, ბელგიელი **დავიდ გოფენი** შეაჩერა. **ხუან მარტინ დელ პოტრომ** ზედიზედ მეორე მატჩი ჩაატარა იაპონიის წარმომადგენელთან. თუ მეორე წრეში მან **გო სოედასთან** ერთი სეტი წააგო, ამჯერად იაპონური ჩოგბურთის ლიდერ **კეი ნიშიკორის** სამ სეტში სძლია.

ხუან მარტინს მერვედფინალში **დავიდ ფერერი** შეხვდება. ესპანელმა შაბათს ცენტრალურ კორტზე ითამაშა **ენდი როდიკის** წინააღმდეგ. ორივემ გასულ კვირას შეძლეს უიმბლდონისთვის "გასახურებელი" ტურნირების მოგება. დავიდისთვის ბალახის კორტები მთლად მოსახერხებელი არ არის, თუმცა როდიკი წელს არასტაბილურია. ამიტომაც თამაში დაძაბული და საინტერესო გამოვიდა. გადამწყვეტი აღმოჩნდა მეორე სეტი. როდიკმა ორი სეტბოლი ვერ გამოიყენა და სეტებში 2:0 დაწინაურების შანსი დაკარგა. დავიდმა ინიციატივა მოიპოვა და მომდევნო ორ პარტიაში დამაჯერებლად მოიგო – 1:6, 7:6(8), 6:4, 6:3.

მატჩის შემდეგ ამერიკელმა განაცხადა, რომ, შესაძლოა, ეს მის კარიერაში ბოლო უიმბლდონი იყოს.

ყველაზე დაძაბული **მარინ ჩილიჩისა** და **სემ კუერის** მატჩი გამოვიდა. ხორვატმა მოიგო ორი პირველი პარტია, მაგრამ შემდეგ, კუერიმ შეძლო ორი ტაი-ბრეიკის ალება. გადამწყვეტი სეტი კი ნამდვილ მარათონად გადაიქცა. ორივე ჩოგბურთელს შესანიშნავი მოწოდება აქვს, ამიტომაც შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ გადამწყვეტი სეტი დროში გაიწელებოდა. თუმცა ჩილიჩს ჰქონდა პარტიის ნორმალური ანგარიშით დასრულების შანსი, როცა მე-11 გეიმში ბრეიკი გააკეთა და 6:5 დაწინაურდა, მაგრამ სემმა მაშინვე დაიბრუნა დაკარგული მოწოდება. თამაში ჩვეულ კალაპოტში დაბრუნდა და ორივე ინარჩუნებდა საკუთარ მოწოდებას. ამასთან, მცირე სათამაშო უპირატესობა კუერის მხარეს იყო, რომელიც მეტოქის გეიმებში ბრძოლას ახერხებდა და ხშირად მიჰყავდა ანგარიში 30:30-მდე, თუმცა მატჩბოლის მოპოვება მაინც ვერ შეძლო. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ მატჩი სიბნელის გამო მეორე დღისთვის გადაიდებოდა. ეს კი ორშაბათის პროგრამას შეცვლიდა, რადგან ამ დღეს ყველა მერვედფინალის ჩატარებაა დაგეგმილი. მაგრამ მატჩის დასრულება მოესწრო. სემმა გადამწყვეტ მომენტში ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა და მოწოდება წააგო. კუერიმ შემდეგ გეიმში იბრძოლა, ისევ ანგარიში 30:30 იყო, რომლის დროსაც ჩილიჩმა 29-დარტყმიანი გათამაშება მოიგო და შემდეგ მატჩბოლი გამოიყენა – 7:6(6), 6:4, 6:7(2), 6:7(3), 17:15. ეს არის უიმბლდონის ისტორიაში ხანგრძლივობით მეორე შეხვედრა (5 საათი და 30 წუთი). ის მხოლოდ **ჯონ ისნერისა** და **ნიკოლა მაუს** ლეგენდარულ სამდღიან მატჩს ჩამორჩება.

### 1/16 ფინალი

**დავიდ ფერერი (ესპ, 7)**-ენდი როდიკი (აშშ, 30) 2:6, 7:6(8), 6:4, 6:3; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 9)**-კეი ნიშიკორი (იაპ, 19) 6:3, 7:6(3), 6:1; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 16)**-სემ კუერი (აშშ) 7:6(6), 6:4, 6:7(2), 6:7(3), 17:15; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 7:5, 3:6, 7:5, 6:1; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 5)**-ლუკაშ ლაჩკო (სლოვაკ) 6:4, 6:3, 6:3; **მერდი ფიში (აშშ, 10)**-დავიდ გოფენი (ბელ) 6:3, 7:6(6), 7:6(6); **ბრაიან ბეიკერი (აშშ)**-ბენუა პერი (საფ) 6:4, 4:6, 6:1, 6:3; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 27)**-ლუკაშ როსოლი (ჩეხ) 6:2, 6:3, 7:6(6).

### 1/8 ფინალი

ჯოკოვიჩი (1)-ტროიცკი; გასკე (18)-ფ. მაიერი (31); ფედერერი (3)-მალისე; ისტომინი-იუჟნი (26); ფერერი (7)-დელ პოტრო (9); ჩილიჩი (16)-მიურეი (4); ცონგა (5)-ფიში (10); ბეიკერი-კოლშრაიბერი (27).


ენდი როდიკი

# უიმბლდონი საფრთხეშია

არასასიამოვნო ინფორმაცია შეიტყო საჩოგბურთო საზოგადოებამ. უიმბლდონის პარკინგის ტერიტორიიდან მოიტაცეს შევარდენი, სახელად **რუფუსი**, რომელიც 12 წლის განმავლობაში იცავდა საჩოგბურთო არენას მტრედებისგან.

ძველ დროს მომაბეზრებელი მტრედები დიდი რაოდენობით დაფრინავდნენ კორტების თავზე, პირდაპირ ბადეზე სხდებოდნენ და ხელს უშლიდნენ როგორც ჩოგბურთელებს, ასევე მაყურებელს. სიტუაცია ორგანიზატორებმა გადაარჩინეს, რომლებმაც სერიოზულად მიხედეს ამ პრობლემას და სპეციალურად "მცველი" განვრთნეს. ამისთვის აშშ-დან გამოიწერეს ამერიკული ჯიშის შევარდენი.


მრისხანე რუფუსი

თავიდან ახალი "ბომბდამშენი" პირდაპირ კორტებზე ყრიდა საცოდავ მტრედებს. ერთწლიანი საბრძოლო გაფრენების შემდეგ, რუფუსი მტრედების ნამდვილი რისხვა გახდა და ისინიც იძულებულნი გახდნენ სხვა მხარეს გაფრენილიყვნენ.

მას შემდეგ რუფუსი უიმბლდონის ნამდვილ თილისმად იქცა – წესრიგისა და სისუფთავის სიმბოლო. მან უდიდესი პოპულარობა მოიპოვა ტურნირის სტუმრებს შორის. ყველას სურდა რუფუსთან ერთად ფოტოების გადაღება. მას "ტვიტერში" საკუთარი მიკრობლოგიც კი ჰქონდა და ხუთშაბათიდან მოყოლებული, იქ ახალი შეტყობინება აღარ გამოჩენილა.

რა თქმა უნდა, კორტებს მხოლოდ რუფუსი არ იცავდა – ის სათავეში ედგა ჯგუფს, რომელშიც 50-ზე მეტი შევარდენი შედის. მაგრამ მტრედებმა, შესაძლოა, ისარგებლონ მეთაურის გარეშე დარჩენილი საბრძოლო ჯგუფის სისუსტით და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება სცადონ. ამიტომაც ინგლისის პოლიციაა აქტიურად ეძებს რუფუსის გამტაცებლებს. მაგრამ კვალს ჯერ ვერ მიაგნეს – ბოლოს ვეტერანი შევარდენი ერთ-ერთ კორტთან მდებარე პარკინგზე მანქანაში შეამჩნიეს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608